CIAN MAGENTA YALLOW BLACK

აი, „მალადეც“, „შუსუსუ“ – ნამდვილად საოცარ ნაბიჯებს დგამთ პოლიციური სახელმწიფოს შენების მიმართულებით

ალია

N185 /3307/ 8 დეკემბერი 2015 წ. PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი ალია | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას ეკონომიკის მინისტრიც „აპრავებს“, ოღონდ ისიც მხოლოდ სიტყვების რახარუხით!

2

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ გუშინ ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა

7

მერე იტყვის, 1 დოლარი 3 ლარი რომ გახდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში ვილაპარაკეთ

სასწრაფოდ უნდა გამოვიდნენ მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და მოსახლეობას აუხსნან, რა ხდება ქვეყანაში, რატომ მძიმდება ყოველდღიურად სიტუაცია!

ვინ არის „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, ვინ დგას მის უკან და რა კომპრომატები არსებობს მასზე?

5

რელიგიური სიწმინდეებისა და სასულიერო პირების შეურაცხყოფისთვის ჯარიმები წესდება?

4

ვინ გააკონტროლებს და როგორ დააჯარიმებენ დამრღვევებს?

რა გაარკვია „ალიამ“ საპატრიარქოს კულუარებში ილია მეორის სურვილზე, ჰქონდეს პატიმრების შეწყალების უფლება?

11

21 000; 16 640; 12 000 ლარი...

3

მართალია ბობოხიძე, გეყოთ მუქთა ჭამა!

აუხ, ბატონო ომარ, ორი საბავშვო ბაღის აშენებას გვაყვედრით და მართლა რომ ასრულებდეთ დაპირებებს, მერე რაღას გვიზამდით?!

8

რაც „ნაცებმა“ ვერ გაბედეს ბოტანიკურ ბაღში, ნარმანიას გარემოცვა ჩუმად აპირებს

9

„ვერეს ხეობაში გააქტიურდა ძალიან ბევრი ახალი მეწყერი, რომელიც არ ვიცოდით, რომ გააქტიურდებოდა“ - რა საფრთხეებზე საუბრობს ნინო ჩხობაძე

10

ღარიბაშვილისა არ იყოს, სააკაშვილიც სულ იმას გაიძახოდა, ქვეყანა ყვავდებაო

6

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲮᲕᲐᲫᲔ
599 93-28-03

ᲐᲘ, „ᲛᲐᲚᲐᲓᲔᲪ“, „ᲨᲣᲡᲣᲡᲣ“ — ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲝᲪᲐᲠ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲓᲒᲐᲛᲗ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡᲐᲭᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲪ „ᲐᲠᲐᲕᲐᲕᲔᲑᲡ“, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲮᲐᲠᲣᲮᲘᲗ!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილი მარცხენა მოძრაობის შემთხვევაში საფრთხეს ქმნის.

მისი თქმით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებული კანონპროექტი სწორედ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა.

– ერთადერთი, რაც შს სამინისტროს ამოძრავებდა, არის ის, რომ გზაზე გადაადგილება იყოს უსაფრთხო. ყველა უნდა დავეთანხმოთ ერთმანეთს, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი მარცხენა მოძრაობის შემთხვევაში და პირიქით, საფრთხეს ქმნის. მძღოლი, უბრალოდ, წინ ვერ ხედავს.

მე კარგად მესმის მცირე მეწარმეების, თუმცა, კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არსებული პარკი, რომელიც თითქმის გაუტოლდა მარცხენასაჭიან პარკს, იყოს შენარჩუნებული და შემდგომში, ნელ-ნელა უნდა მოვაწესრიგოთ სიტუაცია ამ მიმართულებით, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

შს სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის თანახმად, 2016 წლის მარტიდან საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაცია იკრძალება. (რეპორტიორი)

როგორც „კვირის ქრონიკაში“ ვწერდით, 6 დეკემბრის საპროტესტო აქციის ორგანიზატორები მთავრობის ოფიციალურ განცხადებას ელოდებოდნენ და გეგმებს ამის შემდეგ დავალაგებთო.

ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ „ᲐᲚᲘᲐᲛ“ ᲡᲐᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲖᲣᲠᲑᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲒᲐᲘᲒᲝ:

— რადგან ასეა, დავილაპარაკებთ და გეგმებსაც შეგატყობინებთო, — გვითხრა გურამ ზურაბაშვილმა...

ᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲬᲘᲜ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲓᲐᲕᲡᲝ.

კაცო, თქვე დალოცვილებო, რომელი მძღოლის მხედველობის პრობლემებით შეწუხდით, რომელმა მძღოლმა გითხრათ, მიშველე, ფიცხელ, წინ ვერ ვხედავ, ვიღუპებიო?!

ეს არის ყურით მოთრეული და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული სულელური არგუმენტი! ინიციატივის ავტორებს სტატისტიკა, უბრალოდ, არ გააჩნიათ, ავარიებისა და გზებზე წარმოქმნილი სხვა პრობლემების რა წილი მოდის მარჯვენასაჭიან ავტომობილებზე. წარმოიდგინეთ, ეს მონაცემები რომ ჰქონდეთ, ხომ ცხვირზე აგვაფარებდნენ, მაგრამ ბუნებაში არ არსებობს ასეთი სტატისტიკა,

მოკლედ, როგორც ვვარაუდობდით, მთავრობა უკან დახევას არ აპირებს, რასაც დიდი ალბათობით, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლები სერიოზულ პროტესტს დაუპირისპირებენ, რომლითაც ვინ, ვინ და მოგებული ნამდვილად ვერ დარჩება მმართველი ძალა — „ქართული ოცნება“!

რაც შეეხება დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებას, მის შემთხვევაშიც აბსურდულ პოზიციასთან გვაქვს საქმე! ისაო, მარჯვენასაჭიანი ავტომობილი საფრთხეს ქმნის —

რადგან შეუძლებელია, საჭის მდებარეობა ავარიებისა და სხვა პრობლემების, თუნდაც საცობების გამომწვევი მიზეზი იყოს. თუ მძღოლი „ჩაინიკია“, გინდ მარჯვნივ იჯდეს, გინდ მარცხნივ და გინდ – შუაში, მაინც უაზროდ ატარებს მანქანას, მაინც ხტომიალობს ზოლიდან ზოლში და მაინც უდიდესი წარმატებით ქმნის ავარიულ სიტუაციებს.

კიდევ ერთი საშინელი სიახლე, რომელიც „შუსუსუს“ ე.წ. უსაფრთხოების პროგრამას უკავშირდება, არის ის, რომ ყველა მძღოლს გვეუბნებიან — კაცობას თავი დაანებეთ და ბოზობა დაიწყეთო.

რატომ ვამბობთ ამას, ჩემო ბატონო და როგორც შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე განმარტავს:

„უკონტაქტო პატრულირება“ ნიშნავს, რომ დარღვევას არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის მანქანა დააფიქსირებს, არამედ მის აღრიცხვას სპეციალური, მაღალი სიზუსტის რეგისტრატორებით სამოქალაქო მანქანებში მყოფი პოლიციელები, უბრალო მოქალაქეები და მოხალისეებიც შეძლებენ, რომლებიც ამ დარღვევებით წუხდებიან.

რა შედეგს მივიღებთ? – იმას, რაც ასე მოგვწონს ევროპაში: შეიძლება პოლიცია ადგილზე არ ჩანს, თუმცა, წესებს იცავს ყველა და ყოველთვის. რატომ? იმიტომ, რომ ყველამ იცის, დარღვევას არა მხოლოდ პატრული, არამედ ქალაქში არსებული ვიდეოკამერები, რეგისტრატორები და მოქალაქეებიც აკვირდებიან „უკონტაქტოდ“ და უპრობლემოდ აფიქსირებენ ისე, რომ დამრღვევთან კონტაქტში ან კონფლიქტში არ შედიან. დღეს როგორც არის ვიდეოჯარიმის შემთხვევაში, „უკონტაქტო პატრულირებაც“ ანალოგიურად მოხდება. დიახ, ეს შეეხება ავტომანქანას. თუმცა, მფლობელს შეუძლია, გადაამოწმოს დრო და ადგილი, როცა მისი ავტომობილი დაჯარიმდა...“

აი, „მალადეც“, „შუსუსუ“ – ნამდვილად საოცარ ნაბიჯებს დგამთ პოლიციური სახელმწიფოს შენების მიმართულებით: მარტო პატრული კი არა, უბრალო მოქალაქეები და მოხალისეებიც შეძლებენ დამრღვევთა გამოჭერასო.

კი, მოქალაქეებიც უნდა ზრუნავდნენ წესრიგის დაცვაზე, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ პოლიციის მითითებითა და დავალებით კი არ უნდა ხდებოდეს ეს, თავად უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს ამის სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ შს სამინისტრო ჩვეულებრივ მსტოვართა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე ზრუნავს, რისი ნაკლებობაც ისედაც არ აქვს, უბრალოდ, ახლა ამის გაოფიციალურება სურს.

თუ შს სამინისტრო საგზაო წესების დამრღვევთა წინააღმდეგ მოქალაქეების ბრძოლით ინტერესდება, „ფეისბუკზე“ უამრავი გვერდია შექმნილი, სადაც „ჩაინიკი“ მძღოლების გამოჭენება ხდება. ჰოდა, მოახდინა პოლიციამ რაიმე სახის რეაგირება, დააჯარიმა წესების დამრღვევი მძღოლები?! ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ამაზე არავის არაფერი უთქვამს, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ შემთხვევას, როცა „ვაკის ავტობანზე“ მოზარდებმა ტროტუარზე მოძრავი მანქანების ვიდეო გაავრცელეს. მაშინ, თუ სწორად გვახსოვს, შვიდი მძღოლი დაჯარიმდა, მაგრამ ეს იყო ერთხელ და თან ძალიან დიდი ხნის წინ, მას შემდეგ მსგავსი საერთოდ აღარაფერი მომხდარა, რომ საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლები დამფრთხალიყვნენ და მიმხვდარიყვნენ, რომ მათ უმსგავსობას სათანადო შედეგი მოჰყვებოდა...

ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ...

ღარიბაშვილს რომ ჰკითხო, ბიზნესთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს მთავრობასო და!..

საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის მეტი პირდაპირი კომუნიკაცია უნდა არსებობდეს.

– მთავარია ის, რომ უნდა არსებობდეს პირდაპირი კომუნიკაცია ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის. ყველა პრობლემაზე, რომელიც ბიზნესმენებს აწუხებთ, რეაგირება მყისიერად უნდა ხდებოდეს, – განაცხადა ჭირაქაძემ.

მისივე თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ შემდეგი წელი პოლიტიკურად აქტიური და საარჩევნო წელია, მნიშვნელოვანია, რომ ამ ორ მხარეს შორის მეტი კომუნიკაცია არსებობდეს.

– ჩვენ, ბიზნესი, იმედიანად ვართ განწყობილები. ჩვენ ვმუშაობთ ხელისუფლების ყველა შტოსთან, როგორც კი რაიმე პრობლემა ან სერიოზული პრეტენზიები იქნება, ამაზე აუცილებლად მომენტალურად განვაცხადებთ, მაგრამ მე მაინც იმედიანად ვარ განწყობილი, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, ხელისუფლება გააცნობიერებს იმას, რომ ბიზნესთან აქტიურად მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ შევძლებთ, შემდეგი წელიც შევინარჩუნოთ სტაბილურ წლად.

იმედი არ მაქვს, რომ მომავალ წელს დიდი ეკონომიკური ზრდა იქნება. ეს არ არის მარტო საქართველოზე დამოკიდებული. თქვენ ხედავთ, რაც ხდება რეგიონში. მაგრამ ამის მიუხედავად, მჯერა, რომ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთობლივი მუშაობით გააკეთებენ იმას, რომ ეკონომიკა გაიზარდოს და წინ წავიდეს, – განაცხადა გიორგი ჭირაქაძემ. (რეპორტიორი)

ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ... ᲤᲐᲥᲢᲘ... ᲐᲛᲑᲐᲕᲘ... ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ...

მართო ხალხი კი არა, ეკლესიაც არჩევნების მოახლოების წინ ახსენდება მთავრობას – ესეც ამის მტკიცებულება!

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მესტიაში მდებარე 1 124 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები უსასყიდლოდ გადაეცა. მთავრობის განკარგულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

დოკუმენტის თანახმად, მართლმადიდებელ ეკლესიას უსასყიდლოდ გადაეცა დაბა მესტიაში მდებარე 1 124 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1, №2 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №42.06.40.050). განკარგულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უნდა უზრუნველყოს. (ინტერპრესნიუსი)

21 000; 16 640; 12 000 ლარი...

მართალია ბობოხიძე, გეყოთ მუქთა ჭამა!

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა ოპოზიციონერი დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის ინიციატივას, რომელიც მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლებისა და „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელის ხელფასების შემცირებას ისახავს მიზნად, მხარი დაუჭირა. კერძოდ, ოპოზიციონერი დეპუტატის მიერ შეთავაზებული პროექტები აღნიშნული პირებისთვის სახელფასო ჭერის დაწესებას და ხელფასის ოდენობის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან გათანაბრებას ითვალისწინებს.

ბობოხიძის ინფორმაციით, „საპარტნიორო ფონდის“ მთავარი აღმასრულებლის ხელფასი 21 ათასი ლარით არის განსაზღვრული, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ხელფასი 16 640 ლარია, სემეკის თავმჯდომარის ხელფასი – 12 ათასი ლარი, ხოლო წევრების – 11 900 ლარი.

– თუკი გავითვალისწინებთ, რამდენად მაღალია მათი ხელფასები, შეუძლებელია არათუ კომიტეტის, ასევე, პარლამენტის მხრიდან მხარდაჭერა არ ჰქონდეს წარდგენილ ინიციატივას, – აცხადებს აკაკი ბობოხიძე. (bpn.ge)

დიდი ეჭვი გვაქვს და თითქმის დარწმუნებულები ვართ, როგორც ქუცნაშვილის კანონპროექტი ჩააგდო პარლამენტმა, ადგება და ბობოხიძის ინიციატივასაც „ევას პავაროტში“ გაისტუმრებს — სანაცნობო, სადაქალო, სანათესაოს ხელფასს ხომ არ მოაკლებს, აბა?!

ჰო, „ნაცები“ კვლავაც ჭკვიანურ პიარსვლებს აკეთებენ და ისეთ თემებზე ცდილობენ, აქცენტი შეაჩერონ, გამწარებული ხალხისთვის ყველაზე მტკივნეული რომ არის. ასეა ამ შემთხვევაშიც — ჩინოვნიკებს ხელფასები მოვაკლოთო, ბობოხიძე გულზე მჯიღებს იცემს, რამაც შესაძლოა, ნეიტრალურ ამომრჩეველზე „ნაცებისთვის“ სასურველი გავლენა მოახდინოს. აი, რაც შეეხება „ოცნებას“, ისინი ხომ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის კუთხით მსოფლიოში უდავოდ პირველები არიან!..

როგორც თავად ბობოხიძე ამბობს და ისედაც ცნობილია, „საპარტნიორო ფონდის“ შეფის, ანუ დავით საგანელიძის ხელფასი 21 ათასი ლარია, ჩემო ბატონო, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე ყოველთვიურად 16 ათას 640 ლარს იღებს — აბა, როგორ, რასაც ეგ არ-ეგულირებს, ხომ უნდა დაუფასდეს, არა?!

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, ანუ სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავა თვეში 12 ათას ლარს იღებს, კომისიის წევრები — 11 ათას 900 ლარს. ესენიც მარგად არეგულირებენ და იმიტომ.

ჰო, რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, რომელთა ხელფასებსაც უნდა გაუთანაბრდეს ჩამოთვლილი პირების ყოველთვიური სარგო, 6 ათასი ლარია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვი გვეპარება, ბობოხიძის ინიციატივა კანონად იქცეს და ამ ეჭვს ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტის ჩაგდებაც გვიმძაფრებს, მაგრამ პატივცემულო აკაკი, კაკო, კაკი, უაზროდ მაღალი ხელფასები მხოლოდ ამათ აქვთ? ეროვნული ბანკი და მისი პრეზიდენტი რატომ „დაგავიწყდათ“, ჭირიმე?!

გიორგი ქადაგიძის ყოველთვიური ხელფასიც საკმაოზე მეტად შთამბეჭდავია და 12 ათას 500 ლარს შეადგენს.

ჰოდა, ახლა აკაკი ბობოხიძეს ვეკითხებით, რატომ არ ითხოვთ, რომ ქადაგიძის ხელფასიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ყოველთვიურ სარგოს გაუთანაბრდეს, რა, არ ეკადრება თუ „ნაშ სუკინსინ“ და რამე?!

აი, თქვენი — „ნაცების“ და რა თქმა უნდა, „ქოცების“ ადეკვატურობის, სამართლიანობის და ხალხზე ზრუნვის შუბა გავხიე!!!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

აპ, აპ, აპ, „ქართული ოცნება“ როგორ მოგატყუებდათ, მაგას რა დაგვაჯერებს?!

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის მოსახლეობა სოფლის გაზიფიცირების მოთხოვნით ოზურგეთი-ჩოხატაურის ცენტრალური ავტომაგისტრალის გადაკეტავს აპირებს.

აქციის ორგანიზატორების თქმით, სოფლის მოსახლეობას პროტესტის აღნიშნული ფორმით გამოხატვით ხელისუფლებისთვის დიდი ხნის დანაპირების შეხსენება სურს.

– რამდენიმე წელია, უშედეგოდ ვითხოვთ გაზიფიცირებას, შარშან გავმართეთ აქციები და დაგვპირდნენ, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყებოდა სამუშაოები. მანამდე კი დაპროექტება მოხდებოდა. დეკემბერია და არავის არაფერი გაუკეთებია. ისეთი გამწარებულები ვართ, ოჯახებიანად გამოვდივართ გარეთ და ვკეტავთ ავტომაგისტრალს. გორაბერეჟოული ხელისუფლებას არც კი ახსოვს. შარშან მოვიდნენ ადგილობრივ ჟურნალისტთან ერთად და ჟურნალისტმა დადო პირობა, პირად კონტროლზე ავიყვან ამ საქმეს და ყველაფერი გაკეთდებაო. იგივე თქვეს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც. ყველამ მოგვატყუა, – აცხადებენ სოფელში.

იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი ხელისუფლება აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, სოფლის მოსახლეობა რადიკალური ზომების მიღებით იმუქრება. (ნოუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მაღალია, საქართველოც მოხვდა

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ ახალგაზრდების უმუშევრობის დონის ზრდა თითქმის ყველა ქვეყნის პრობლემა გახდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოცემა „ბიზნეს ინსაიდერმა“ იმ ქვეყნების სია გამოაქვეყნა, სადაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი უმუშევრობას განიცდის. მათ შორის მოხვდა საქართველოც, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონემ გასულ წელს 31,5 პროცენტი შეადგინა. სიაში პირველი ადგილი საბერძნეთს უჭირავს, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონემ 64,8 პროცენტს მიაღწია. მეორე ადგილს ბოსნია და ჰერცოგოვინა იკავებს 60,2 პროცენტით, მესამეს კი ესპანეთი – 58,2 პროცენტით. ევროპულ ქვეყნებს შორის სიაში, ასევე, მოხვდა საფრანგეთი – 25,3 პროცენტით, უნგრეთი – 26,1 პროცენტით და პოლონეთი – 28,4 პროცენტით.

ახალგაზრდების უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საუდის არაბეთშია, სადაც 2014 წლის მონაცემებით, ახალგაზრდების 30 პროცენტი უმუშევრობის კრიზისს განიცდის. ირანში ეს მაჩვენებელი მცირედით მაღალია და 30,4 პროცენტს შეადგენს. ეგვიპტეში კი – 39,3 პროცენტს. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, „ბიზნეს ინსაიდერის“ მიერ შედგენილ სიაში მხოლოდ სომხეთია შეყვანილი 40,6 პროცენტით. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

რა დაგვალიანება აქვს სახელმწიფოს საბჭოთა კავშირის დროინდელი ანაბრების მფლობელებთან

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სოციალურ ქსელში საბჭოთა კავშირის დროინდელი ანაბრების შესახებ წერს და წინასაარჩევნოდ ამ თემის ტრადიციულ გააქტიურებას პროგნოზირებს:

– ვინაიდან 3-წლიან საარჩევნო ციკლში შევა ჩვენი ქვეყანა სულ რამდენიმე თვეში, დარწმუნებული ვარ ვიღაცას ისევ გაახსენდება მოსახლეობის „მანეთებში“ ანაბრების თემა. ამიტომ „სტატისტიკის“ მოყვარულებისთვის დავწერ:

საბჭოთა კავშირის დროინდელი ანაბრები აღიარებულია შიდა ვალში შემდეგი ინდექსაციით. პირველ 1000 მანეთზე – 100 ლარი, ყოველ შემდეგ 1000 მანეთზე – 10 ლარი. ანუ თუ დანაზოგი შეადგენდა 50,000 მანეთს, ის შიდა ვალში აღიარებულია როგორც 590 ლარი.

50,000 მანეთი = 590 ლარს.

და ასეთი მიზერული თანაფარდობით აღიარებული დავალიანება არის 502 მილიონი ლარი.

P.S. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც კომენტარის დაწერა ზედმეტია. უბრალოდ, არასდროს არ დავივიწყოთ, რა გავიარეთ 90-იან წლებში, – წერს გიორგი ქადაგიძე. (ნოუპოსტი)

რა დავალიანებები დაუგროვდა ხალხს ეროვნული ბანკის ერთი ადგილის თამაშის შედეგად, უფრო სწორად, უმოქმედობით, რასაც ხელისუფლების ამჩემფეხებობაც დაემატა, ამაზე არაფერს ამბობს პატივცემული გიორგი!..

მკვლელობა თელავში — მამაკაცმა 57 წლის ქალი ნაჯახის თავში ჩარტყმით მოკლა

ურთიერთშელაპარაკებისას 31 წლის მამაკაცმა 57 წლის ქალს თავის არეში ნაჯახით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ის ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს ქალბატონის ვალი ჰქონდა, რაც მათ შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა.

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცი უკვე დააკავეს.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნაჯახი ნივთმტკიცებადაა ამოღებული. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს. (ნოუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

ბარათაშვილის ხიდის რეაბილიტაციას ხომ არ დააყენა მერიამ საშველი, ახლა კიდევ მოძრაობას მორიგ ხიდზე ზღუდავს!

სარაჯიშვილიდან გურამიშვილის გამზირის მიმართულებით არსებულ ხიდზე მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება. თბილისის მერიის ცნობით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური დავით სარაჯიშვილის გამზირიდან დავით გურამიშვილის გამზირის მიმართულებით არსებულ ხიდზე (გზაგამტარი №1) დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების შეცვლას იწყებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, 8 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდება. (პირველი რადიო)

„სახეზეა ძალიან დიდი ფინანსები“ – გრიგოლია კიევის ყოფილი მერის ქართულ პოლიტიკაში მოსვლას ეხმაურება



რამდენიმე დღის წინ კიევის ყოფილმა მერმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ საზოგადოებას საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის „ბედნიერი საქართველოსთვის“ ჩამოყალიბების შესახებ ამცნო.

ამასთანავე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მწამებლებთან არ ითანამშრომლებს. თუმცა, ვინ იგულისხმა მწამებლებში, არ დაუკონკრეტებია.

ჩერნოვეცკიმ, ასევე, განაცხადა, რომ ის, ვინც მეგის ქარდავას პოლიციაში მიიყვანს, პირადად უკრაინელი პოლიტიკოსისგან საჩუქრად მიიღებს 150 000 დოლარს.

– ვინც მეგის ქარდავას იპოვის და ჩააბარებს პოლიციას, პირადად ჩემგან გადაეცემა 150 000 დოლარი, თუ უფრო მეტს მოითხოვს, მეტსაც გადავუხდი, – განაცხადა ჩერნოვეცკიმ.

კიევის ყოფილი მერის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას ჟურნალისტი ინგა გრიგოლიაც ეხმაურება:

– პაატა ბურჭულაძის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში, ალბათ, ბევრ რაღაცებს გადაალაგებს დეკემბრიდან, რასაც „გირჩის“ სატელევიზიო აქტიურობებს ვუყურებ, მათი რიგების გაზრდაც მგონია, მოხდება წინასაარჩევნოდ... აი, ვის თამაშს თამაშობს ჩერნოვეცკი, თქვენი აზრით? ამ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური გუნდი არ იკვეთება, მაგრამ სახეზეა ძალიან დიდი ფინანსები... ვისია და რა უნდა? – წერს გრიგოლია.

შეგახსენებთ, რომ ჩერნოვეცკი ხუთი წელია ქობულეთში ცხოვრობს, მან საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო. (daijesti.pia.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

რელიგიური სიწმინდეებისა და სასულიერო პირების შეურაცხყოფისთვის ჯარიმები წესდება?

ვინ გააკონტროლებს და როგორ დააჯარიმებენ დამრღვევებს?

რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურების შეურაცხყოფისთვის, შესაძლოა, ფულადი ჯარიმები დაწესდეს. საუბარია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რომელიც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა. ცვლილებების მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ახალი მუხლი უნდა დაემატოს, რომლის გათვალისწინებითაც, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას.

პარლამენტში აღნიშნული კანონპროექტის ინიციატორი ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანია, ხოლო კანონპროექტის ავტორი — „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის დირექტორი ზვიად ტომარაძე.

„ალიას“ ზვიად ტომარაძე ესაუბრა:

– ძალიან ბევრი ევროპული ქვეყანა აღნიშნულ საკითხს სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც კი აწესრიგებს და თავიდან, 2013 წელს, მეც სისხლის სამართალში დავწერე. იმ პერიოდში რელიგიური გრძნობებისა და სიწმინდეების შეურაცხყოფის საკითხი ძალიან მძაფრად იდგა, გახსოვთ თქვენ, ქაშუეთის ეკლესიის გალავანზე წმინდა ნინოს კარიკატურა დაახატეს, „ფეისბუკში“ ძალიან ბევრი ანტიმართლმადიდებლური გვერდი შეიქმნა (რომელიც დღესაც არის) და მათი პირდაპირი დანიშნულება ღვთის გმობაა. საქმე მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას კი არა, ყველა არსებულ რელიგიას ეხება და არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც, ზოგადად, რელიგიას დაიცავდა... საპატრიარქოსთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ მსგავს კანონპროექტს შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიტანდა, მე გვერდზე გავდექი, რადგან საქმე კეთდებოდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ვინ გააკეთებდა? მაშინ კანონპროექტი მართლაც გავიდა, მაგრამ გავიდა პროცედურული ნორმების დარღვევით, პირდაპირ მეორე მოსმენაზე და რა თქმა უნდა, ამის გამო უკან გაინვიეს. ახლა ეს საკითხი დღის წესრიგში ისევ დადგა – ერთ-ერთი ბოლო ფაქტი გავიხსენოთ, ილიას უნივერსიტეტში ვინმე ლია უკლებამ რომ ღვთისმშობლის თვითმკვლელობის „ნახატი“ გამოფინა, რაც რელიგიური ნიშნით დაპირისპირების სერიოზული მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო, იგივე მედრესეს კარზე ღორის თავის მიჭედება გავიხსენოთ... მინდა ყველამ გაიგოს, რომ კანონპროექტში ყველა რელიგიაზეა საუბარი, თუმცა – დიახ. მაგალითად, იტალიაში სისხლის სამართლის კოდექსის 724-ე მუხლი „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის“ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სასჯელს, ჯარიმას 51-დან 309 ევრომდე; ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 505-ე მუხლით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ასევე ფულადი ჯარიმით ისჯება. ავსტრია: პირი, რომელიც დასცინის, ან მასხრად იგდებს ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას ან თაყვანისცემის საგანს ავსტრიის ტერიტორიაზე, ისჯება 6 თვემდე პატიმრობით, ან ფულადი ჯარიმით. პოლონეთი, სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლი: პირი, რომელიც შელახავს რელიგიურ გრძნობებს, ღვთისმსახურების საგნის ან ადგილის მიმართ საჯარო ცილისწამებით, ისჯება ფულადი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, მინიმუმ, 2 წლამდე. ჰოლანდია: სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც საჯაროდ, ან ზეპირად ან წერილობით, გამოსახულებით შეურაცხყოფს რელიგიურ გრძნობებს ბოროტად განზრახული მკრეხელობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს სამი თვისა, ან ფულადი ჯარიმით; შვეიცარიაში ფულადი ჯარიმაა; გერმანიაში აღნიშნული სისხლის სამართლის 166-ე მუხლით ისჯება. დანიაში, ისლანდიაში, ფინეთში, საბერძნეთში და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანაში მსგავსი ქმედებებიც სხვადასხვა ფორმით ისჯება.

— ვიღაც შეიძლება გამოხტეს, სიტყვიერად მიაყენოს შეურაცხყოფა რელიგიას, ხალხის რელიგიურ გრძნობებს და თქვას, ეს სიტყვის გამოხატვის თავისუფლებაა და რას მერჩითო.

– კი, ოპონენტები ამას ხშირად ამბობენ და მათ ვუპასუხებ: სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ის მთავრდება იქ, როდესაც იწყება სხვისი შეურაცხყოფა. მე მინდა ზუსტად გითხრათ, რაზეა კანონპროექტში საუბარი: მუხლი 1661. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა 1. რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურისა და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან/და ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. 2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით. 3. რელიგიური შენობებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. 4. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

— დღევანდელ ხელისუფლებას ლიბერალური კურსი აქვს აღებული, არც ისე დიდი ხნის წინ ანტიდისკრიმინაციული კანონიც მიიღეს. ამის ფონზე, რამდენად გაქვთ აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების იმედი?

– სრულიად გეთანხმებით, ნამდვილად ლიბერალური კურსი აქვთ და მეტსაც გეტყვით: ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი რუსეთის, დანარჩენი 80 პროცენტი კი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის ოკუპირებული! კანონი ვერ მიგვიღია ისე, რომ გარკვეულმა არასამთავრობოებმა, რომლებსაც მე უცხო ქვეყნის ჯაშუშებს ვეძახი, არ განიხილონ. დარწმუნებული ვარ, ამ კანონპროექტს ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდება და ამას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით დაუპირისპირდებიან. ამ ბატონებსა და ქალბატონებს ერთი რამ ავიწყდებათ: ისინი ხომ ყველას უფლებების დაცვას ითხოვენ ხოლმე? და რელიგიებსა და რელიგიური ადამიანების გრძნობებს დაცვა არ სჭირდებათ?

— თქვენს კანონპროექტში ერთი და იმავე ხასიათის მხოლოდ ორჯერ ჩადენილ ქმედებებზე გაქვთ ჯარიმები. მესამედ განმეორების შემთხვევაში რა ხდება?

– ეს ეხება პირს, რომელიც წელიწადის განმავლობაში მინიმუმ, ორჯერ მაინც ჩაიდენს ამ დანაშაულს და საქმეც ისაა, რომ ეს ძალიან ლიბერალურად არის დაწერილი და ნეტა, ეს მაინც მივიღოთ, ამაზე მკაცრს აღარ ვჩივი. თუმცა, როგორც გითხარით, სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და პატიმრობას ითვალისწინებს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ვინ არის „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერი ლეონიდ ჩერნოვეცკი, ვინ დგას მის უკან და რა კომპრომატები არსებობს მასზე?

გახდა თუ არა პოლიტიკა თაღლითების, ბანდიტების, კლეპტოკრატების, მეცენატების, ქველმოქმედების თავშესაფარი? უცნაურ ვითარებაში ვიმყოფებით, უცხო ქვეყნის ჩინოვნიკები, რომელთაც პრობლემები აქვთ საკუთარი ქვეყნის სამართალდამცავებთან, გამორბიან საქართველოში და პარტიას ქმნიან. საქართველომ უკრაინასთან ერთგვარი ბარტერი მოახდინა. ჩვენ გავუშვით ხელისუფლების გიჟი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში და მის ნაცვლად მივიღეთ კიევის ყოფილი მერი, ლეონიდ ჩერნოვეცკი, რომელსაც უკრაინის გარკვეული წრეები ასევე გიჟად მოიხსენიებენ. ის საქართველოში 2011 წლიდან ჩნდება, როცა ლეონიდ ჩერნოვეცკი მეუღლესთან, ალინა აივაზოვასთან განქორწინებას იწყებს. განქორწინების უსიამოვნო სასამართლო პროცესს ჩერნოვეცკი საქართველოში დაემალა, კერძოდ, იგი ბათუმში ისვენებდა. როგორც უკრაინული გამოცემა იუწყება, ლეონიდ ჩერნოვეცკი მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირია. ისინი ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის დროს მეგობრობდნენ... „ლიოვას“ საქართველოში საკუთარი ბიზნესები აქვს, საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე, გუდაურსა და ბაკურიანში კერძო სასტუმროებს ფლობს. მისი პირველი მეუღლე ალინა აივაზოვა საქართველოში დაიბადა, ის ცნობილი თბილისელი მილიონერის სტეფან აივაზოვის ქალიშვილია, რომელიც საბჭოთა კავშირში იატაკქვეშა საწარმოების ქსელს ფლობდა და უზარმაზარი ქონების გამო დიდი გავლენით სარგებლობდა. როგორც უკრაინული მედია იუწყება, ჩერნოვეცკის მილიონებს სწორედ სიმამრის კაპიტალმა დაუდო სათავე. თუმცა კიევის მერსა და ალინა აივაზოვას შორის ურთიერთობები მას შემდეგ გაფუჭდა, რაც „მურმანის ეკალივით“ მათ შორის ელენე საბჩუკი გამოჩნდა. დღეს ეს ქალბატონი მისი მეორე მეუღლეა და მათ საერთო შვილი ჰყავთ. ლეონიდ ჩერნოვეცკის პოლიტიკურ ამბიციებს საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, ქართველებისთვის ეს არის უცნობი ადამიანი, რომელმაც ხალხს თავის ქველმოქმედებით დაამახსოვრა თავი, მაგრამ ქართველ ხალხს არ აქვს უფლება, შეცდომა დაუშვას და გაიყიდოს ტომარა ფქვილზე, ფოჩიან კანფეტებზე, ლიოვას ფერად დაპირებებზე. ჩერნოვეცკი საქართველოს მოქალაქეა და როგორც ირკვევა, მან მოქალაქეობა ახალი ხელისუფლების პირობებში მიიღო. სხვათა შორის, ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა, როცა პოლიტიკოსმა არ იცის ქართული ენა და გაიძულებს, ხმა მისცე. ეს ნიშნავს, რომ რეალურად ის ჩვენს სახელმწიფო ენას პატივს არ სცემს. მხოლოდ ამის პრობლემა რომ იყოს, კიდევ არაფერია. მისი წარსულია ბუნდოვანი და ძალიან ბევრი მძაფრსიუჟეტიანი მომენტია მის ცხოვრებაში, რაც ქართველ ხალხს წინ ნამდვილად არ წაწევს.

რა სურს პარტია „ბედნიერი საქართველოს“ ლიდერს ლეონიდ ჩერნოვეცკის, რომ მიიღოს ქართველი ხალხისგან? ვინ დგას მის უკან და რეალურად, რა კომპრომატები არსებობს მასზე?

2012 წლიდან ის საკუთარი სახლის მშენებლობას იწყებს ქობულეთში, ფიჭვნარის დასაწყისში. ორჯერ იყო არჩეული კიევის მერად, ასევე, სამი მოწვევის დეპუტატი იყო უკრაინის უზენაეს საბჭოში. „ფორბსის“ სიაში ყველაზე მდიდარ უკრაინელთა შორის მე-12 ადგილს იკავებდა, მან საქართველოში რამდენიმე საქველმოქმედო პროექტი დააფინანსა, ფლობს საქველმოქმედო ფონდს „სოციალური პარტნიორობა“, რომელიც მოხუცებსა და სოციალურად დაუცველ ბავშვებს ეხმარება.

ვინ შეიძლება ვიხილოთ მის პარტიაში? არ ვიცი, ხუმრობაა თუ რეალობა, მაგრამ საუბარია, რომ 90-იანი წლების ვარსკვლავი გია სურამელაშვილი შესაძლოა მილიარდერის სიის სათავეშიც ვნახოთ. პოლიტიკაში სურამელაშვილის სახელმა 2013 წელს გაიჟღერა, თითქოს, მას პრეზიდენტობის ამბიცია ჰქონდა. ამაზე მაშინ ხალხთან ერთად თავად გიამაც იცინა, მაგრამ დღეს ისეთ ვითარებაში ვცხოვრობთ, არასოდეს არ ვთქვათ „არასოდეს“ და „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“. ასე რომ, შესაძლოა, ეს ინფორმაცია რეალობასთან ახლოსაც იყოს...

უკრაინული მედია ლეონიდ ჩერნოვეცკის „ლიონია კოსმონავტის“ სახელით მოიხსენიებს. თურმე ნუღარ იტყვით და ამ ბედნიერი საქართველოსთვის „მზრუნველ“ ბიზნესმენს თავის კატასთან ერთად ნდომებია კოსმოსში გაფრენა. ჩერნოვეცკის უკრაინაში აღარ ჩაესვლება, მას ჰგონია, რომ დაიჭერენ, მით უმეტეს, ახლა კიევის მერი მისი დაუძინებელი მტერი ვლადიმერ კლიჩკო გახდა, რომელიც წლების განმავლობაში ითხოვდა ჩერნოვეცკის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ამ ინფორმაციას „აიპრესი“ უკრაინელი კოლეგის ინფორმაციაზე დაყრდნობით ავრცელებს. ჩერნოვეცკის 2011 წლამდე ინტერპოლი ეძებდა, იგი ძებნილთა სიიდან მხოლოდ 2014 წელს ამოიღეს, ლიონიამ საქართველოში ცხოვრება იმიტომ გადაწყვიტა, რომ საქართველო-უკრაინას შორის ექსტრადიციაზე ხელშეკრულება არ არსებობს.

მოკლედ, ლიონიამ სააკაშვილს ის დავუდგინეთ გარკვეული მენტალური დაავადებებიო. ყოფილი მერი თავისი ინტიმური სიზმრების მოყოლითაც იპყრობდა ყურადღებას. მაგალითად, ის ჰყვებოდა, რომ ესიზმრა იულია ტიმოშენკო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა მასთან, რადგან ცოლი უყვარს, ხოლო ტიმოშენკოს ზოგჯერ არ ვუყვარვარო.

ახლა კი ვნახოთ, რა შავ-ბნელი წარსული იმალება ამ ვითომდა კეთილშობილი მისიით მოვლენილი ჩერნოვეცკის უკან.

„ალიას“ საპატიო გენერალი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:

— ბატონო ტრისტან, რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ დგას კიევის ყოფილი მერის უკან და თქვენი აზრით, რა მიზნით შექმნა მან პარტია „ბედნიერი საქართველო“?

– როგორც ჩემი უკრაინელი მეგობრებისგან ვიცი, კიევის ყოფილი მერის საქართველოში გააქტიურება არის დასავლური სპეცსამსახურების გეგმა, მათ შეფუთეს ეს ადამიანი და მოახდინეს მისი დესანტირება საქართველოში. რადგან ის გავლენა, რაც დასავლეთს საქართველოში ჰქონდა, გარკვეულწილად შესუსტდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებიდან განდევნეს. ამიტომ, გამოძებნეს სააკაშვილის ალტერნატივა ჩერნოვეცკის სახით, რომელიც შექმნის ახალ პოლიტიკურ გუნდს, სადაც აღმოჩნდებიან „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის წევრებიც, რათა შემდგომ კვლავ გააცოცხლონ „ნაციონალური მოძრაობა“.

— თქვენ აცხადებთ, რომ ჩერნოვეცკისთან „ნაციონალები“ გაერთიანდებიან, თუმცა ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ მწამებლებთან არანაირი ურთიერთობა არ ექნება, ხოლო მეგის ქარდავას დაჭერისთვის ჯილდოდ 150 ათას დოლარს აწესებს...

– აგიხსნით, რატომ გააკეთა ეს განცხადება. უკრაინაში სააკაშვილის იმიჯის შელახვა უკავშირდება მეგის ქარდავას. მეგის ქარდავაზე პირდაპირ სააკაშვილის მითითებაა, რომ ის გაანადგურონ, რადგან არის ეჭვი, რომ მეგის ქარდავამ მიჰყიდა კოლომოისკის წამების ამსახველი კადრები. არის ინფორმაცია, რომ გარკვეული რაოდენობის კადრები ერეკლე კოდუას გაყიდულია, დათა ახალაიასაც ჰქონდა წამების კადრები და თითოეულმა მათგანმა სარფიანად ივაჭრა კოლომოისკისთან, რაც სერიოზული კომპრომატებია სააკაშვილისთვის. ლეონიდ ჩერნოვეცკიმ სწორედ მიხეილ სააკაშვილის დავალებით გააკეთა ეს განცხადება და არა იმიტომ, რომ გული სტკივა ქართველების წამებაზე. თუ ასეთი განაწყენებულია მწამებლებზე, პირველი მწამებელი უკრაინაში ჰყავს ოდესის გუბერნატორად. ხელიც მიუწვდება და საკმაოდ სერიოზული გავლენებიც აქვს შემორჩენილი კიევის ყოფილ მერს ოდესაში და საკმაოდ ძლიერი საყრდენი ძალა ჰყავს უკრაინაში. თუ ასეთი მამაცია, იძიოს შური მიხეილ სააკაშვილზე და მოითხოვოს ნომერ პირველი მწამებლის გადაყენება პოსტიდან. რა, მეგის ქარდავა მიხეილ სააკაშვილის მითითების გარეშე აწამებდა ამ ხალხს?!. მაგრამ აქ სხვა რამ ხდება, ის ასრულებს მიხეილ სააკაშვილის დავალებას, წამების კადრების გავრცელების გამო ქუჩაში ვეღარ გამოდის თავისუფლად სააკაშვილი და ხალხს ვეღარ ხვდება. შეიქმნა სააკაშვილისგან განმათავისუფლებელი ორგანიზაციები უკრაინაში, რომლებიც ფართომასშტაბიან აქციებს დაიწყებენ, ფაქტობრივად, აქციები მის წინააღმდეგ დაწყებულია და არაერთხელ მოუწყვეს აქციები გადადგომის მოთხოვნით, უკრაინელები პირდაპირ აცხადებენ, – არ ვაპატიებთ სააკაშვილს, რაც ვნახეთ წამების კადრებში, არ გვჭირდება მწამებელი და ადამიანების გამაუპატიურებელი ხელისუფლებაშიო.

თავის დროზე გავაჟღერე, რომ სააკაშვილი ჩართული იყო უკრაინასთან იარაღის კონტრაბანდაში იუშჩენკოსთან ერთად. ამ საქმეში მონაწილეობდა ლეონიდ ჩერნოვეცკიც. როგორც სააკაშვილმა გაძარცვა და დაანგრია ქვეყანა, ასე გაძარცვა და დაანგრია ჩერნოვეცკიმ კიევი მერობის დროს. ჩართული იყო იარაღის კონტრაბანდაში, ნარკოტიკების გადაზიდვაში, მას ძალიან სერიოზული კრიმინალური წარსული აქვს. როგორც სააკაშვილმა უნდა აგოს პასუხი ქართველი ხალხის წინაშე, ასევე უნდა აგოს მან პასუხი უკრაინელი ხალხის წინაშე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

„რატომ არ შეიძლება კათალიკოს-პატრიარქს ჰქონდეს მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება“

საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიას“ დამფუძნებელი, ნიკა რურუა „ფეისბუქში“ სტატუსს აქვეყნებს: მსურს რამდენიმე მიზეზი ჩამოვთვალო, რატომაც არ შეიძლება რომ კათალიკოს-პატრიარქს ჰქონდეს სისხლის სამართლის წესით მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება.

1. პარტიარქი არაა დემოკრატიულად და შეზღუდული ვადით არჩეული პოლიტიკური პირი, ამიტომ მისი პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვა დაუშვებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში;

2. დღევანდელი პატრიარქის დიდი ავტორიტეტი არანაირად არ აქვს გარანტირებული არც ერთ მომავალ პატრიარქს, ამიტომ კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტის გამო მთელი ინსტიტუციის პოლიტიკური უფლებით აღჭურვა არაკეთილგონივრულია, როგორც მინიმუმ;

3. ჩვენი ქვეყანა მულტირელიგიურია და შეწყალების უფლების მინიჭება ერთი, თუნდაც ყველაზე დიდი რელიგიის ლიდერისათვის სავარაუდოდ გაგვიუცხოვებს რელიგიურ, და შესაძლოა, ეთნიკურ უმცირესობებს;

4. რელიგიის პოლიტიკაში აღრევა, როგორც ისტორია გვასწავლის, ცუდად მთავრდება ხოლმე და ამის ორი მაგალითია ინკვიზიცია და ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“.

5. უცნობია, რა კრიტერიუმით შეიწყალებს ერთს და არ შეიწყალებს მეორე მსჯავრდებულს პატრიარქი; თუ იგი, ამ უფლების ფლობის შემთხვევაში, ყველას შეიწყალებს, და სასჯელაღსრულების სისტემა საჭირო აღარ იქნება?!

6. როგორ დაიცავს სახელმწიფო კორუფციისაგან ამ პროცესს, რომელიც შესაწყალებელი ადამიანების სიების შედგენას პოტენციურად ყოველთვის თან სდევს? თვალთვალს განახორციელებს ან დააპატიმრებს იმ მღვდლებს, ვინც შემჩნეული იქნება ასეთ სიაში ადამიანთა ჩაწერის სანაცვლოდ პატიმრის ოჯახისთვის ფულის გამოძალვაში?

7. ძალაუფლების, თვითგანდიდების მიდრეკილებიდან გამომდინარე, კიდევ რომელი სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციების შეთავსებას მოითხოვს ეკლესია შეწყალების უფლების მიღების შემდეგ?

და ა.შ. და ა.შ... ამგვარ ლოგიკურ კითხვათა სია შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს.

P.S. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ამ დამღუპველი ინიციატივის დაშვება არანაირად არ შეიძლება. (news.ge)

ხულოელ მამაკაცს, რომელსაც არასრულწლოვანმა ცოლმა 2 შვილი გაუჩინა, პატიმრობა ელის

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კორტოხში მცხოვრები ნადიმ პაქსაძის წინააღმდეგ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის გამო, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამ მისი ნათესავების პროტესტი გამოიწვია. პაქსაძის სიდედრი ნანი სოლომონიძე აცხადებს, რომ ის დასთანხმდა, მისი 13 წლის გოგონა ცოლად გაჰყოლოდა 19 წლის ნადიმს იმიტომ, რომ ბიჭი კარგი ოჯახის შვილი იყო. გთავაზობთ ნანი სოლომონიძის კომენტარს, რომელიც მაღალმთიან ხულოში ადრეული ქორწინების ტრადიციასაც ეხება:

– რა თქმა უნდა, თანახმა ვიყავი, რომ ჩემი 13 წლის მაია ნადიმს გაჰყოლოდა. კარგი ოჯახის შვილი იყო და რატომ უნდა მეთქვა უარი? მშვენიერი ოჯახი შექმნეს, ორი შვილიც გაუჩნდათ. არ მინდა ჩემს სიძეს შეექმნას პრობლემები. მისი მშობლები ავად არიან, 80 წლის ბებოც მოსავლელია, ორი შვილი გასაზრდელი ჰყავს და არ მინდა, პირობითი მისცენ ან ჯარიმა დააკისრონ, არ აქვს საშუალება და ვერ გადაიხდის. მე რომ გავთხოვდი, 16 წლის ვიყავი. ჩვენთან სოფელში ხშირია ამ ასაკში გათხოვება. ახლა გავიგე, რომ შემოვიდა რაღაც კანონი, რომელიც ადრეულ ქორწინებას კრძალავს.

ჩემს შვილს პირველი ბავშვი 14 წლის ასაკში შეეძინა, იუსტიციის სახლში მაშინ რეგისტრაციაზე არ ყოფილა პრობლემა. ახლა კი მეორე შვილი რომ შეეძინა და 12 ნოემბერს ნადიმი რეგისტრაციისთვის მივიდა, მაშინ აღუძრეს საქმე, ჩემი სიძე დაიბარეს დაკითხვაზე, მერე დაგვიბარეს მე და ჩემი მეუღლე და ნადიმის მშობლებიც. ჯერ ხულოში დაგვკითხეს, შემდეგ საქმე გადასცეს ბათუმს. მივედი პროკურატურაში, გამომძიებელმა მითხრა, ადვოკატი აიყვანეთ და საკითხში ის გაგარკვევთო. არ გვაქვს ჩვენ ადვოკატის ფული, სოციალურად დაუცველები ვართ და გაჭირვებით ვახერხებთ თავის რჩენას.

ეს კანონი ახალია და ჩვენ არ უნდა შეგვეხოს. ამის მერე არასრულწლოვანს ვინც მოიყვანს ცოლად, მხოლოდ იმათზე უნდა გავრცელდეს. ჩემი შვილი კარგ ოჯახში გათხოვდა და ნუ დაუნგრევენ ოჯახს, ნუ დაუპატიმრებენ ქმარს და ნუ გააუბედურებენ ხალხს, – აცხადებს ნანი სოლომონიძე.

მაია სოლომონიძე ახლა 16 წლის არის. ის მეცხრე კლასში იყო, როცა გათხოვდა, სკოლის დამთავრება კი ფეხმძიმობის გამო ვეღარ შეძლო. მისი მეუღლე ნადიმ პაქსაძე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას ითხოვს:

– 19 წლის ვიყავი, როცა 13 წლის გოგო მოვიყვანე ცოლად. 2013 წელს ჩემი მეუღლე 14 წლის იყო, როცა პირველი შვილი შეგვეძინა, ბათუმის იუსტიციის სახლში გავატარეთ რეგისტრაციაზე და არანაირი პრობლემა არ ყოფილა. გასულ თვეში, 12 ნოემბერს მეორე შვილი შეგვეძინა და იუსტიციის სახლს რეგისტრაციისთვის რომ მივმართე, სისხლის სამართლის საქმე აღმიძრეს. სამსახური არ მაქვს, მაგრამ მშობლებისა და ოჯახის მარჩენალი მე ვარ. თურქეთში გადავდივარ და ვმუშაობ. ჯარიმასაც ვერ გადავიხდი და ვითხოვ, არ მომცენ არც პირობითი, რადგან ვეღარ გადავალ თურქეთში და ოჯახის რჩენაც გამიჭირდება, – აღნიშნა ნადიმ პაქსაძემ.

პაქსაძის თქმით, 4 თვის წინ ოჯახს გეგმიური შემოწმების შემდეგ სოციალურად დაუცველის სტატუსიც მოუხსნეს, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველთა რეიტინგის მიხედვით, დაბალი, 45 ათასი ქულა ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნადიმ პაქსაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. (ambebi.ge)

რა თქმა უნდა, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით და ვგმობთ 13 წლის ბავშვის, დიახ, ბავშვის გათხოვებას, მაგრამ ეს ოხერი, როცა, ვთქვათ, პენსიის ან ხალხისთვის სასარგებლო სხვა კანონს მიიღებენ ხოლმე, რამდენიმე თვე მაინც უნდა გავიდეს, რომ ძალაში შევიდეს და ამოქმედდეს და ასე დაუნდობლად რატომღა ექცევიან ამ ოჯახს, როცა კანონი ახალი მიღებულია — სამაგალითოდ დასჯა უნდათ, რომ ძალა გამოავლინოს სახელმწიფომ?!

ასეთივე შეუპოვრობა „ოცნება“, სჯობს, სხვა რამეებში გამოიჩინო. მაგალითად, პრემიების ამკრძალავ კანონთან მიმართებაში.

ვიმეორებთ, კატეგორიულად დაუშვებლად მიგვაჩნია 13 წლის ბავშვის დაქორწინება, მაგრამ არანაკლებ მიუღებელია ჯოხის გადატეხა სუსტსა და დაუცველ ადამიანზე!!!

თუ ვინმეს ჩემი პერსონა არ მოწონს, ამას ქვეყნის ინტერესების გამო უნდა გადააბიჯოს – მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს გარშემო განვითარებულ მოვლენებსა და სხდომაზე პრემიერის არდასწრებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. მარგველაშვილის თქმით, თუ ვინმეს მისი პერსონა არ მოსწონს, ამას ქვეყნის ინტერესების გამო უნდა გადააბიჯოს და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება უნდა მოხდეს. განცხადება პრეზიდენტმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში გააკეთა.

– მე ვერ აღვიქვამ საკუთარ თავს და თანამდებობას რაიმე ტიპის გამწვავების კონტექსტში. მე არ ვარ დაპირისპირებული არც პიროვნულად და არც თანამდებობრივად. რა შეიძლება მინდოდეს ამ პროცესში? მე მაქვს ყველაზე მაღალი ლეგიტიმაცია და ყველაზე მაღალი პოსტი ქვეყანაში. მე არ ვარ დაპირისპირებული არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან და თანამდებობის პირთან, თუმცა ვისურვებდი მეტ გააზრებას კონსტიტუციური ინსტიტუტების და მათი მნიშვნელობის. უშიშროების საბჭოზე კონკურენტები არ უნდა იყოს, აქ არ გვაქვს ერთმანეთისთვის რაიმე მოსაგები. თუ ვინმეს ჩემი პერსონა არ მოსწონს, ამას ქვეყნის ინტერესების გამო უნდა გადააბიჯოს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

წამყვანის შეკითხვაზე: ემსახურება თუ არა უშიშროების საბჭოს მოწვევა ვინმესთვის საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცებას? მარგველაშვილმა უპასუხა, რომ უშიშროების საბჭოს მოწვევით ის კონსტიტუციურ მოვალეობას ასრულებს და ეს არ ხდება ვინმესთან დასაპირისპირებლად:

– თქვენ მეკითხებით, რომ გიორგი, შენ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებ და იმას აკეთებ, რასაც გავალებს კონსტიტუცია, ამით შენ ძაბავ ვითარებას? ამას მეკითხებით? როგორ შეიძლება ამას ვუპასუხო, – განაცხადა მარგველაშვილმა.

რენტ-ის მარკის ნავთობის ფასი დაეცა — რუსული რუბლი კვლავ კატასტროფის პირასაა

7 დეკემბერს დილით Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 42,10 აშშ დოლარამდე დაეცა – ეს არის მინიმალური ფასი 2009 წლის მარტის შემდეგ, ხოლო საღამოს ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდა და ბარელზე 41,15 დოლარამდე შემცირდა.

ნავთობის ფასის ვარდნამ ავტომატურად გამოიწვია რუსული რუბლის დაცემა დოლარსა და ევროსთან მიმართებაში – დოლარი სექტემბრის შემდეგ პირველად მივიდა 69,06 რუბლამდე, ხოლო ევრო 74,65 რუბლი გახდა.

ექსპერტების თქმით, ნავთობის ფასის დაცემის მიზეზი OPEC-ის (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) წევრი ქვეყნების შეხვედრაა, სადაც კვლავ არ იქნა მიღწეული შეთანხმება ნავთობის მოპოვების შეზღუდვის შესახებ. (ნიუპოსტი)

ღარიბაშვილისა არ იყოს, სააკაშვილიც სულ იმას გაიძახოდა, ქვეყანა ყვავდებაო

ახალი წლის დადგომამდე ერთ თვეზე ნაკლები დრო რჩება. შესაბამისად, ბევრმა უკვე დაიწყო ფიქრი იმაზე, სად და რა პირობებში შევხვდეთ 2016 წელს. სასტუმროებს უკვე შერჩეული აქვთ სადღესასწაულო პროგრამები და არც კლიენტთა ნაკლებობას უჩივიან. როგორც ჩანს, ქართველი თუ უცხოელი მომხმარებელი დაჯავშნას ახალ წლამდე ერთი თვით ადრე იწყებს. სასტუმროებში კი სადღესასწაულო პერიოდში თავისუფალი ადგილების რაოდენობა ან აღარ არის, ან მათი რიცხვი დღითი დღე მცირდება.

ქეთი ხვედელიძე გუდაურში მდებარე სასტუმრო „მარკო პოლოს“ მარკეტინგის მენეჯერია. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, წელს პირველად სასტუმროს ტერიტორიაზე საახალწლო სოფელი მოეწყობა, რომელიც დამსვენებელს მთელი თვის განმავლობაში უმასპინძლებს. გაიმართება სუვენირების გამოფენა-გაყიდვა, სტუმრებს ტრადიციული კერძების დაგემოვნებისა და მაყალზე გოჭის შეწვის შესაძლებლობა ექნებათ.

რაც შეეხება ახალი წლის ღამეს, სადღესასწაულო აქტივობები 31 დეკემბრის 5 საათიდან იგეგმება. 11 საათზე „მარკო პოლოში“ საახალწლო ვახშამი გაიმართება, რომელსაც უკრაინიდან მოწვეული წამყვანი და დიჯეი, ასევე, ჯგუფი „გუფილენდი“ უმასპინძლებენ. 12 საათზე კი ტრადიციულად იქნება ფოიერვერკიც.

სასტუმროში ერთი სტანდარტული ნომრის ფასი საახალწლო დღეები (30 დეკემბრიდან 3 იანვრამდე) იმატებს და 180 დოლარის ნაცვლად, 252 აშშ დოლარს შეადგენს. როგორც მარკეტინგის მენეჯერი აღნიშნავს, „მარკო პოლოში“ უკვე თითქმის ყველა ნომერი დაჯავშნილია.

კახეთში მდებარე სასტუმრო „ყვარლის ტბის“ კორპორაციული გაყიდვების ხელმძღვანელის, ლინდა კიკოლაშვილის თქმით, სასტუმროში 2-დღიანი სადღესასწაულო პაკეტის ღირებულება ორ ადამიანზე 1200 ლარს შეადგენს.

– მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა შესაძლოა, ზოგს მაღალი მოეჩვენოს, მომხმარებელთა სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით. ყველანაირად ვეცადეთ კონკურენტებთან შედარებით მისაღები ფასები დაგვედგინა. 2-დღიან პაკეტში შედის: ნომრის ღირებულება, საახალწლო გალა ვახშამი, ბავშვებისთვის ანიმატორი, სანტა და ასევე, ყველა სტუმრისთვის საჩუქარი, – აღნიშნავს კორპორაციული გაყიდვების ხელმძღვანელი.

ლინდა კიკოლაშვილის თქმით, საახალწლო დღეებში ფასები ორჯერ უფრო მაღალია. ერთ ადამიანზე 315-დან 600 ლარამდე იზრდება, თუმცა დაგეგმილი აქტივობები მომხმარებელს ამ ფასად ნამდვილად უღირს.

ბაკურიანში მდებარე სასტუმროს BAKURIANI RESORTS-ის მენეჯერის მარიკა კოპალიანის თქმით, სასტუმროში ერთი დღის ფასი ერთ ადამიანზე 50-დან 65 დოლარის ფარგლებში მერყეობს. საახალწლო აქტივობები ფასში გათვალისწინებული არ არის. ჯავშნების მიღება უკვე დაწყებულია, მომხმარებელი საკმაოდ აქტიურია. როგორც სასტუმროს მენეჯერი აღნიშნავს, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად მსურველთა რაოდენობა იზრდება, თუმცა, მისი თქმით, სადღესასწაულო პერიოდისთვის სასტუმროში უკვე მხოლოდ რამდენიმე თავისუფალი ნომერია დარჩენილი.

კაჭრეთის „ამბასადორში“ სტუმრების განწყობაზე ელენე კალანდაძე იზრუნებს. 12 საათის შემდეგ სტუმრებისთვის დიჯეი დაუკრავს, ახალი წლისა და ბედობის ღამის გატარების ღირებულება კი 2 ადამიანზე 550 დოლარს შეადგენს.

დამდეგი ახალი წლისთვის სასტუმროები განსაკუთრებით ემზადებიან. სადღესასწაულო პროგრამებისა და ტრადიციული სუფრის გარდა, კლიენტებს ისინი კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას სთავაზობენ. მომხმარებლები კი განსაკუთრებული განწყობის შექმნისთვის მაღალი ფასის გადახდას, როგორც ჩანს, სულაც არ ერიდებიან. (ambebi.ge)

უნებურად რეკლამა კი გამოგვდის სასტუმროების, რომელთაც უნამუსოდ გაბერილი ფასები აქვთ, მაგრამ ყურადღებას მაინც ვამახვილებთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისეთი საზიზღარი ფასები, როგორიც საქართველოშია, ევროპაშიც კი არ მოიძიებ! ამას ისიც ადასტურებს, რომ სულ ცოტა ხნის წინ გავრცელდა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სამთო კურორტებთან შედარებით დაახლოებით 1800 ლარით იაფი ჯდება დასვენება ალპებში!!!

რაც შეეხება დანარჩენს, როგორც ჩანს, ღარიბაშვილი სულაც არ გვატყუებს ხოლმე, როცა ამბობს, რომ საქართველოში ყველაფერი გადასარევადაა. სხვა შემთხვევაში, დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ თუნდაც საახალწლოდ 2-დღიან დროსტარებაში 1200 ლარი ან 550 დოლარი გადაიხადოს ვინმემ. რაც მთავარია, ძვირად ღირებული სასტუმროები, ფაქტობრივად, გადავსებულია და ადგილები იქ აღარც მოიძიება.

ღარიბაშვილისა არ იყოს, სააკაშვილიც სულ იმას გაიძახოდა, ქვეყანა ყვავდებაო — როგორც ჩანს, მხოლოდ ერთეულებისთვის და ეს ერთეულები როგორც მაშინ, ისე დღესაც ჩინებულად გრძნობენ თავს.

ღმერთმა ყველას მილიონები მოგცეთ, ხალხო, გამრავლდით და გაიხარეთ, გაერთეთ და იცეკვეთ, გოჭებიც შეწვით, მაგრამ...

ისე, ძალიან კი გვაინტერესებს, რომელი მინისტრი, რომელი ჩინოვნიკი ესტუმრება საახალწლო წვეულებებზე ამ სასტუმროებში, აი, მაგათ კი ნამდვილად არ გაუჭირდებათ — გამოიწერენ ერთ გემრიელ პრემიას სამშობლოსთვის თავგანწირვით მუშაობის გამო და სულ ეგაა!..

რაც შეეხება სასტუმროების მესვეურებს, ეგენი შუბლზე ძარღვგაწყვეტილთა კასტას დიდი ხანია განეკუთვნებიან — ისეთ ფასებს დააბრეხვებენ ხოლმე, შეიძლება გული გაგიკვდეს ადამიანს. თუმცა რა გინდა, კი ჰყავთ მაინც კლიენტები და...

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ გუშინ ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

მერე იტყვის, 1 დოლარი 3 ლარი რომ გახდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში ვილაპარაკეთ

რატომ აანონსებს ქადაგიძე ლარის კურსის დაცემას, ასე ხომ თვითონვე აგდებს ბიზნესსექტორს თუ მოსახლეობას პანიკაში და გამიზნულად თესავს შიშს? ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ როგორ გვსაყვედურობდა მთავრობის წევრებთან ერთად, ლარის გაუფასურებას ხელს ჟურნალისტები უწყობთ, თქვენი პროგნოზებით მოსახლეობაში ნიჰილიზმსა და შიშს თესავთო.

სასწრაფოდ უნდა გამოვიდნენ მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და მოსახლეობას აუხსნან, რა ხდება ქვეყანაში, რატომ მძიმდება ყოველდღიურად სიტუაცია!

7 დეკემბერს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ გუშინ ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა: ჯერ თქვა, მთავარი ეკონომიკური შოკი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მიიღო, ლარის კურსში უკვე ასახულია და გაუფასურებას აღარ ველოდებითო, შემდეგ კი უტიფრად დაგვიანონსა, მომავალი წლის პირველ კვარტალში ინფლაცია პიკს მიაღწევს, ხოლო მეორე კვარტალში დასტაბილურდებაო. როგორც პირადად მე გავიგე, ქადაგიძე ამბობს, გარე ფაქტორები მოხსნილია, შოკი აღარ იქნება, მაგრამ შიდა პრობლემების გამო ლარი მაინც გაუფასურდებაო. ჯერ ერთი, ჩვენთვის, რიგითი მოკვდავებისთვის, შოკი შოკია, გინდ გარე იყოს, გინდ – შიდა, მნიშვნელობა არ აქვს და მეორეც – ლარის გაუფასურება ხშირად გვინახავს, გამყარება – ისე რა... რატომ აანონსებს ქადაგიძე ლარის კურსის დაცემას, ასე ხომ თვითონვე აგდებს ბიზნესსექტორს თუ მოსახლეობას პანიკაში და გამიზნულად თესავს შიშს? ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ როგორ გვსაყვედურობდა მთავრობის წევრებთან ერთად, ლარის გაუფასურებას ხელს ჟურნალისტები უწყობთ, თქვენი პროგნოზებით მოსახლეობაში ნიჰილიზმსა და შიშს თესავთო. ახლა კი რა გამოდის, ქადაგიძე გამიზნულად დაადგა მავნებლობის გზას? არა, მავნებლობა რომ კარგა ხანია მისი ხელობაა, ეს ვიცით, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში ოპტიმიზმი ნიჰილიზმში რატომ გადაუვიდა, იცის, რომ ყველა ჭამა-სმაზე იფიქრებს, ლარზე მოთხოვნილება გაიზრდება, შეიძლება კურსი, ასე თუ ისე, გამყარდეს და იანვრიდან, სანამ „პახმელიაზე“ გამოვალთ, სიურპრიზი უნდა შემოგვთავაზოს? აბა, რა, მერე იტყვის, 1 დოლარი 3 ლარი რომ გახდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში ვილაპარაკეო. ან იქნებ მისთვის ცნობილი გახდა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათი კონტრაქტორები ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულის თანაბარზომიერ ხარჯვას ვერ ახერხებენ?

როგორც ამბობენ, დეკემბრის დარჩენილ დღეებში ერთ მილიარდ ლარზე მეტი უნდა დაიხარჯოს და არ არის გამორიცხული, ეს მოხდეს თვის ბოლო კვირას. ყოველ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციები 1 მილიარდს ვერ აითვისებენ, დაკარგავენ და ეს თანხა მომავალი წლის ბიუჯეტში გადავა. ჩვენთვის კი სჯობს, ბიუჯეტში დარჩეს, რათა ლარს კიდევ უფრო არ ეტიროს ყოფა, მაგრამ, როგორ გგონიათ, ამდენ ფულს ვინ დატოვებს აუთვისებელს და ვინ აიკრავს „უნიათო“-ს იარლიყს? და მაინც, რას ნიშნავს ლარის გაუფასურების პიკი, აქამდე რა იყო, მხოლოდ დასაწყისი? როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში:

> **„ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ეროვნულ ბანკს ლარის კურსის კი არა, ინფლაციის პროგნოზირებაც არ შეუძლია, ყოველ კვარტალში ინფლაციის პროგნოზებს აქვეყნებენ და არასოდეს არ ემთხვევა. როდესაც ვარდნა დაიწყო, მას შემდეგ ქადაგიძემ უამრავი განცხადება გააკეთა, ახლა კი დასტაბილურდება, არანაირი საშიშროება აღარ გველოდებაო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ტყუილები. შეიძლება ასეთ გამონათქვამებს მოსახლეობა ივიწყებს, მაგრამ ბიზნესი არ ივიწყებს. ამიტომაც იზრდება ინფლაციის მაჩვენებელი, ბიზნესმენებს აღარ სჯერათ ეროვნული ბანკის. დაუკვირდით, მიუხედავად იმისა, რომ ლარი შედარებით სტაბილურია, ფასები მაინც იზრდება, რაც გახლავთ ბიზნესმენების დამოკიდებულება, ეს არის წინასწარი გათვლა, რას უნდა ველოდოთ მომავალში“.**

როგორც ეკონომისტთა წრეებში აღნიშნავენ, არსებობს მოსახლეობის ინფლაციური მოლოდინი და არსებობს ბიზნესის ინფლაციური მოლოდინი, ამ შემთხვევაში გიორგი ქადაგიძემ ორივე მიმართულებით დაარტყა. თუკი მოსახლეობას ბევრი არაფრის გაკეთება არ შეუძლია, სამაგიეროდ ბიზნესი უკვე იჭერს თადარიგს და ფასებს ზრდის, მომავალ თვეებში ლარის კურსი რომც დავარდეს, კატასტროფულად არ იზარალებს. სხვათა შორის, ქადაგიძე მაშინაც ტყუის, როცა გარე ფაქტორების მოხსნაზე ლაპარაკობს და ამბობს, ეკონომიკური შოკი კურსში უკვე ასახულია, აწი უკვე სამშვიდობოს ვართო. 16-17 დეკემბერს გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის მესვეურთა სხდომა, სადაც საბოლოოდ მიიღებენ გადაწყვეტილებას საპროცენტო განაკვეთების გაზრდის თაობაზე. რა რეაქცია მოჰყვება ამას მთელ მსოფლიოში, ამის პროგნოზირება უკვე ადვილია – კვლავ დაიწყება სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტების ვარდნა, შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის გაზრდა და ასე შემდეგ.

> **ლია ელიავას თქმით, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმის მოლოდინიც, რომ ახალი წლის წინა დღეებში ლარზე მოთხოვნილება გაჩნდება, შეიქმნება დეფიციტი და გამყარდება:**

„ჯერ ერთი, ჩვენი მოსახლეობა არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ უცხოური ვალუტა უცებ გამოიტანოს და ლარზე გადაახურდაოს. ჩვენი საზოგადოება არის საკმაოდ გაღატაკებული ამ სავალუტო კრიზისის შედეგად და რაც გააჩნია, იმით გადაატარებს ახალი წლის დღეებს. ლარზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. სავალუტო კურსი ძირითადად კომერციული ბანკების ერთმანეთთან ვაჭრობის შედეგად ყალიბდება და განპირობებულია მსხვილი ბიზნესის მოთხოვნილებებით. მე კარგს არაფერს ველოდები არც მომავალი წლის გაზაფხულისთვის და არც შემდგომი პერიოდისთვის, თუ ქადაგიძის წასვლის შემდეგ ასეთივე უპასუხისმგებლო ხელმძღვანელი მოვიდა ეროვნულ ბანკში“.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი 2016 წლის თებერვალში გაუდგება კუდიგორის გზას. მისი პროგნოზი, რომ პირველ კვარტალში ლარის გაუფასურება პიკს მიაღწევს, საეჭვოდ ემთხვევა მისავე წასვლას. როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“, ლარის გაუფასურება 30-50 თეთრით 5-10 წუთის საქმეა, ხოლო გამყარებას სჭირდება თვეები და წლები. თუკი გაზაფხულზე ეს ამბავი პიკს მიაღწევს, ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ შემდგომ პერიოდში რაიმე სასიკეთო მოხდება

> **— 1 დოლარი 3 ლარიც რომ გახდეს და მერე დაგვამშვიდონ, აწი დასტაბილურდება, ცუდი აღარაფერი მოხდებაო, ეს ჩვენი მოსახლეობისთვის მაინც იქნება დიდი კატასტროფა და ხელისუფლების დასასრული.**

ლია ელიავას თქმით, ეროვნული ბანკის დოკუმენტებში პირდაპირ წერია, რომ მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები 6-8 კვარტლის შემდეგ აისახება ეკონომიკაზე და შესაბამისად, ჩვენს ყოფაზეც:

„თვითონ წერენ, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება კი შეგვიძლია, მაგრამ ამას შედეგი 2 წელიწადში ექნებაო. ქადაგიძე გამოდის და ამბობს, თუ საჭირო გახდება, გავამკაცრებთო. ეს ყველაფერი არის დემაგოგია და ფუჭი საუბარი, ვითომ საქმის კეთება. კურსი ასე არ უნდა თამაშობდეს, სხვა ქვეყნებში ეს გაეკეთეს, ერთჯერადად კი გაუფასურდა, მაგრამ მერე დასტაბილურდა. ჩვენთან მაინც დახტის ლარი და ეს არ გვაძლევს საშუალებას, ჩვენი ცხოვრება დავგეგმოთ რამდენიმე წლით კი არა, რამდენიმე თვითაც კი.

> **სხვათა შორის, ეროვნულმა ბანკმა „კარგად“ იმუშავა გარკვეულ მედიასაშუალებებთან, როცა მირეკავენ და კომენტარებს მთხოვენ, თან მეუბნებიან, ქადაგიძე უკვე მიდის და აღარ გააკრიტიკოთ, აზრი აღარ აქვსო. რას ჰქვია, აზრი აღარ აქვს, მსოფლიო ბანკში უნდა გადასვლა და კრიტიკა ხელს შეუშლის? მე მგონი, ერთადერთი თქვენღა დარჩით საქართველოში, ვინც ეროვნული ბანკის წინააღმდეგ ხმას იღებს.**

მე გული მტკივა, ეროვნულ ბანკს შეუძლია, ქვეყანა ააყვავოს და პირიქით კი ხდება, ქვეყანას აუბედურებს თავისი უმოქმედობით და ხელოვნური კრიზისის შექმნით, უცოდინრობით, უვიცობით, ამპარტავნობით. მე არ ვიცი, ზოგჯერ გული მერევა, ამათ განცხადებებს რომ ვისმენ. როცა ვუყურებ, სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკები რას არ აკეთებენ, რას არ ცდილობენ, გული მწყდება. რაც შეეხება დეკემბერში 1 მილიარდი ლარის დახარჯვას, შარშანაც ასე იყო, თუ უცებ გამოიტანენ და დახარჯავენ, რასაკვირველია, კურსი რამდენიმე დღით დავარდება და მერე ისევ გამყარდება, რადგან ეს ფული ეკონომიკიდან არის ამოღებული და უკანვე ჩაბრუნდება. საბიუჯეტო სახსრები არ შეიძლება იყოს სავალუტო კურსის რყევის საფუძველი. პირიქით, ცუდი იქნება, თუ არ დახარჯავენ. ვიმეორებ, მთავარია, ერთ დღეს არ გამოიტანონ. ჩვენ, საერთო ჯამში, მაინც გვაქვს სახელმწიფოებრივი ხედვის პრობლემა, ჩინოვნიკების შეცდომებისა და უპასუხისმგებლობის გამო ჩვენ ვართ ჩამორჩენილები“.

ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ქადაგიძე მიდის და ახლა უკვე ბოლომდეა „გაფუჭებაზე“ ორიენტირებული:

„ეს ადამიანი თებერვალში მიდის და ყველანაირად ეცდება, საქმე ისე გააფუჭოს, შემდეგ გამოსწორება გაძნელდეს. ეკონომიკაში რომ დიდი პრობლემებია, ეს, ცხადია, ვიცით, მაგრამ, როცა ამბობს, მომავალი წლის პირველ კვარტალში გაუფასურება პიკს მიაღწევსო, სჯობდა, პრემიერ-მინისტრთან დამჯდარიყო და აეხსნა, რა ხდება, რაშია საქმე? ჯერ ერთი, არც გარე ფაქტორები დასტაბილურებულა და არც შიდა, პირიქით, უახლოეს თვეებში უფრო დაიძაბება სიტუაცია. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: 2016 წელი გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე 2015 წელი იყო, პირველ კვარტალში პიკი იქნება და მერე დასტაბილურდება, ასე არ გამოვა, ქადაგიძე წავა და დაგვრჩება უფრო მეტად აოხრებული საფინანსო სფერო“.

როგორც ხედავთ, ექსპერტებიც და თვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც ჩვენი ცხოვრების უფრო მეტად დამძიმებაზე საუბრობენ და კარგს არაფერს ვარაუდობენ. თუ ამ ხელისუფლებას უნდა, რომ 2016 წელს გადაურჩეს, რამე უნდა იღონოს და არ დაუშვას როგორც ფასების ზრდა, ისე ლარის გაუფასურება. სასწრაფოდ უნდა გამოვიდნენ მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი და მოსახლეობას აუხსნან, რა ხდება ქვეყანაში, რატომ მძიმდება ყოველდღიურად სიტუაცია!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

გერმანიიდან ეგვიპტეში მიმავალი თვითმფრინავი აფეთქების საფრთხის გამო ავარიულად დაჯდა

სამგზავრო ავიალაინერი, რომელიც ბერლინიდან ეგვიპტის კურორტ ხურგადაში მიფრინავდა, ტერაქტის საფრთხის გამო ბუდაპეშტში ავარიულად დაფრინდა. დაჯდომის შემდეგ 133 მგზავრისა და ეკიპაჟის 7 წევრის თვითმფრინავიდან ევაკუირება მოხდა. საგანგებო სიტუაცია ანონიმურმა ზარმა გამოიწვია. უცნობმა პირმა ავიაკომპანია Condor-ში დარეკა და თვითმფრინავში ბომბის არსებობის შესახებ განაცხადა.

სპეციალურმა სამსახურებმა ავიალაინერი შეამოწმეს, მაგრამ ასაფეთქებელი მოწყობილობა ვერ აღმოაჩინეს. ორი დღის განმავლობაში გერმანულ თვითმფრინავთან დაკავშირებით საგანგებო შემთხვევა უკვე მეორედ ხდება. წინა დღეს ავიაკომპანია Lufthansa-ს თვითმფრინავში, რომელიც ფრანკფურტიდან ბელგრადში მიფრინავდა, ერთ-ერთი მგზავრი 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე კარის გახსნას ცდილობდა. მგზავრი დააკავეს. (kvira.ge)

გამზარდია ლექციებს აღარ წაიკითხავს — პოლიტიკური დევნა ილიაუნში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩილ გამზარდიას საათები „20/30“-ში მუშაობის რამდენიმე თვეს ეწირება. გაზაფხულის სემესტრიდან ილიაუნი ბიზნესსკოლის ლექტორს ხელშეკრულებას შეუწყვეტს.

გამზარდია მიმდინარე პროცესებს პოლიტიკურ სიმპათიებსა და მის „GDS“-ში მუშაობას უკავშირებს.

არჩილ გამზარდია: „ბოლო წლებში 36 საათი მქონდა დატვირთვა, წინა სემესტრი მქონდა 25 საათი, ამ სემესტრში მაქვს 18 საათი, გაზაფხულის სემესტრი ადმინისტრაციამ ამომიგდო, ამიტომ გაზაფხულზე, სავარაუდოდ, არც ერთი საათი არ მექნება. ილიაში გარკვეული სიახლეებია ბოლო პერიოდში, მაგალითად, შეიცვალა რექტორი, გიგი თევზაძე აღარაა, გიგა ზედანიაა, ხარისხის სამსახურის უფროსი ბატონი ზურაბ ჭიაბერაშვილია. მე მაინც დავუკავშირე იმას, რომ ჩემი GDS-ზე მუშაობის შემდგომ ადმინისტრაცია პოლიტიკური მოტივებით მიიჩნევს, რომ მე მათთან არ უნდა ვიყო. მე რომ „20/30“-დან წამოსვლის შემდეგ ყოფილი მმართველებისადმი სიმპათია გამომეხატა, დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ არ მოხდებოდა. ილიას უნივერსიტეტი აკადემიური თავისუფლებით ვეღარ დაიკვეხნის“, — აცხადებს არჩილ გამზარდია.

არჩილ გამზარდია მეცხრე წელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორია და ხელშეკრულებას ყოველსემესტრულად აფორმებს. (primetimenews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

მოსამართლეთა შერჩევის პროცესი გამჭვირვალე არ არის — ნანუაშვილი

სახალხო დამცველს მოსამართლეების დანიშვნის პროცესთან შეკითხვები აქვს. როგორც უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, პროცესი ჯერ კიდევ არ არის გამჭვირვალე.

– როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული, გათვალისწინებული იყოს, მათ შორის, ჩვენი ანგარიშები წინა წლების განმავლობაში, ასევე, რეკომენდაციები, რომელიც უკავშირდება ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან გარკვეულ გადაცდომებს. პროცესი არ არის ბოლომდე გამჭვირვალე. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან გამჭვირვალე არ იყო, როგორც ვიცი, საბჭო მაქსიმალურად ცდილობს, გარკვეულწილად მოახდინოს საზოგადოების ჩართვა ამ პროცესში, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა. (ნიუსტა)

დავით ჟვანია: მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო კამპანიისას მილიონ დოლარზე მეტი მივეცი

უკრაინის უმაღლესი რადას სახელმწიფო აღმშენებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის დავით ჟვანიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიას აფინანსებდა. ამის შესახებ მან „უკარაინსკაია პრავდას“ განუცხადა.

– სააკაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე. მას ჯერ კიდევ მაშინ ვეხმარებოდი, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა. ჩვენ საუკეთესო ურთიერთობები გვქონდა, – აღნიშნა ჟვანიამ.

კითხვაზე, როგორ ეხმარებოდა სააკაშვილს, ჟვანიამ განმარტა, რომ ეს დახმარება ყველაფერს მოიცავდა.

– დანყებული ფინანსურიდან, პირდაპირი მხარდაჭერით დამთავრებული. ეს ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო, მანამდე ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა. მილიონ დოლარზე მეტი მივეცი საპრეზიდენტო კამპანიისთვის, – განაცხადა ჟვანიამ.

კითხვაზე, რამდენად მომგებიანი იყო მისი ეს ინვესტიცია, ჟვანიამ აღნიშნა, რომ მოგვიანებით მის მიერ ამ კამპანიაში ჩადებული სახსრები უკან დაუბრუნეს.

– მე ამ სახსრების უკან დაბრუნება არ მითხოვია, მაგრამ ფული უკან დამიბრუნეს, – განაცხადა ჟვანიამ.

ოდესის გუბერნატორის შესაძლო პრემიერმინისტრობის შესახებ საუბრისას ჟვანიამ აღნიშნა, რომ სააკაშვილს არ შეუძლია, იყოს მთავრობის მეთაური, რადგან უკრაინის პრემიერ-მინისტრი უკრაინელი უნდა იყოს. მისი თქმით, სააკაშვილის პრემიერობა პოლიტიკურ მოედანზე არაადეკვატური იქნება. (ინტერპრესნიუსი)

პატიოსანი შრომით იშოვიდა სააკაშვილი ჟვანიასთვის დაბრუნებულ მილიონ დოლარს, ხომ ვიცით, არა?! და ამის მერეც მიშისტები გამოვლენ და იტყვიან, როგორი მაგარი, პატიოსანი და ქვეყანაზე გადამკვდარი პრეზიდენტი ვერ შევინარჩუნეთ!..

აუხ, ბატონო ომარ, ორი საბავშვო ბაღის აშენებას გვაყვედრით და მართლა რომ ასრულებდეთ დაპირებებს, მერე რაღას გვიზამდით?!

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს, რომელსაც გთავაზობთ:

– „ქართული ოცნება“ დაპირებებს ასრულებს... როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ბაგა-ბაღები უფასო გახადა, ბავშვთა რაოდენობა გაორმაგდა, რამაც ახალი ბაღების საჭიროება მოითხოვა. საქართველოში 25 წელია, ახალი ბაგა-ბაღი არ აშენებულა, ეს მხოლოდ ამ ხელისუფლებამ შეძლო. ქუთაისში ორი ახალი ბაგა-ბაღი აშენდა, მესამე კიდევ შენდება, გარემონტდა და კეთილმოეწყო ძველი ბაგა-ბაღები, გაუმჯობესდა ბავშვთა კვება... ასე რომ, „ქართული ოცნება“ დანაპირებებს მართლაც ასრულებს... – წერს ნიშნიანიძე. (რეპორტორი)

მაგ ბაღებამდე მისვლა რომ შეძლონ ბავშვებმა, მშობლებს უნდა ჰქონდეთ ელემენტარულის საშუალება, ეს ერთი. მერე მეორე - 3 წლის მანძილზე რომ ორ ბაღს ააშენებ და ჯანდაბას, მესამე აშენების პროცესში იქნება, ამით როგორ შეიძლება თავის მოწონება, ბატონო ომარ, ეს არის საქმის კეთება, კაცო?!

ახლავე ძალიან მოკლედ შეგახსენებთ „ქართული ოცნების“ დაპირებებს და მერეც ამტკიცეთ, სოფლის შენებას რა უნდა და ერთი კარგი ბაღის აშენება უნდაო...

სამართლიანობის აღდგენაზე აღარ ვამბობთ არაფერს, რა აზრი აქვს, რო?!

ჰო, დანარჩენს რაც შეეხება — სამუშაო ადგილები შექმენით? არა!

კომუნალური გადასახადები შეამცირეთ? შეამცირეთ კი არა, ჩემო ბატონო, პირიქით, კატასტროფულად გაზარდეთ! ჰო, კახა კალაძეც იყვედრება ხოლმე, გარკვეული პერიოდი ხომ შევინარჩუნეთ დაბალი ტარიფებიო? არა და თქვენ ხომ დაწევას გვპირდებოდით და არა შენარჩუნებას, გაზრდაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?!

გავაგრძელოთ — მონა მოსამართლეებს მოუხერხეთ რამე? თუ არა, თავში ხომ შეგპირდით, სამართლიანობის აღდგენაზე აღარაფერს ვიტყოდით და მონა მოსამართლეების საკითხიც, პრინციპში, ამ პუნქტს ეკუთვნის...

კარგით, კიდევ რა შეიძლება გავიხსენოთ? ჰო — რომელიმე გახმაურებული საქმე გახსენით? არა!

კიიიდო რა სარგებლობა მოაქვს „ოცნებას“ ამ 3 წლის მანძილზე და - საარჩევნო სისტემა შეცვალეთ? არა!

სიღარიბეს გაუმკლავდით? არა!

სოფელს დაეხმარეთ? არა!

„ნაცმოძრაობას“ მიუჩინეთ ადგილი?

ოოო, ისევ სამართლიანობის აღდგენისკენ გაგვირბის ჭკუა და გონება და თავში მოცემულ პირობას ვარღვევთ — არაფერს ვიტყვითო, რომ შეგპირდით.

თუმცა თქვენი გუნდი, თქვენი „ქართული ოცნება“ რამდენ რამეს დაგვპირდა, ომარ ბატონო, მაგრამ არ შეასრულა და ორი ბაღის აშენებას და კიდევ ერთი რომ შენდება, იმას როგორ გვაყვედრით, შეიძლება ასე? არ შეიძლება, ჩემო ბატონო, და კიდევ ბევრი რამე არ შეიძლება, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა?!.

ისე, სადაც ორი ბაღის აშენება და მესამის მშენებლობა წამოგვაძახეთ, ბარემ ისიც გეთქვათ, „ალი და ნინოს“ ძეგლი რომ გადაიტანეთ ბათუმში, რა, ეგ საქმის კეთება არ არის, კაცო?!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

რა მამაძაღლობასაც სააკაშვილი აპირებდა და ჯერ შეასრულა, სომხეთის პრეზიდენტი ახერხებს

სომხეთში ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ, საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლასა და მაჟორიტარული არჩევნების პროპორციული სისტემით შეცვლას დაუჭირა მხარი. რეფერენდუმის წინასწარი შედეგების მიხედვით, საკონსტიტუციო რეფორმის ცვლილებას მხარი 825 ათასზე მეტმა ადამიანმა, ანუ მონაწილეთა 63.35 პროცენტმა დაუჭირა.

სომხეთის კანონის თანახმად, რეფერენდუმზე გატანილი საკითხი მიღებულად ითვლება, თუ მას რეფერენდუმში მონაწილე 50 პროცენტზე მეტი დაუჭერს მხარს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობა 50.51 პროცენტს შეადგენდა. რეფერენდუმის საბოლოო შედეგები 13 დეკემბერს გამოქვეყნდება.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის ოქტომბერში სომხეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმის კანონ-პროექტს, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას ითვალისწინებს. რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა მმართველ „რესპუბლიკურ პარტიას“ ეკუთვნოდა, რომელსაც მხარი პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა დაუჭირა.

ოპოზიცია აღნიშნული ცვლილებების წინააღმდეგია, რადგან, მათი თქმით, მოქმედი პრეზიდენტი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ქვეყნის სათავეში პრემიერ-მინისტრის რანგში დარჩება. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

გიორგი მარგველაშვილი: ხშირად პოლიტიკოსებს ბოლომდე არ აქვთ გააზრებული ელემენტარული დეტალები ჩვენი სახელმწიფოებრიობის

– სრულიად დაბნეულმა პოლიტიკურმა პოზიციებმა გვაჩვენა, რომ ხშირად პოლიტიკოსებს ბოლომდე არ აქვთ გააზრებული ელემენტარული დეტალები ჩვენი სახელმწიფოებრიობის, – ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში შეწყალების საკითხზე პატრიარქის ინიციატივასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, საპატრიარქომ სრულიად ნათელი განცხადება გააკეთა საკითხზე, თუმცა, ამავდროულად, მისივე თქმით, ყურადღების გამახვილების ღირსია ქართველი პოლიტიკოსების ქმედებები და განცხადებები.

– ჩვენ რეალურად გავიარეთ დრამატული დებატის ორი დღე, სადაც მთავარი აქტორი იყო სამოქალაქო საზოგადოება. ძალიან ნათელი განცხადება გააკეთა საპატრიარქომ, რითიც ახსნა და საზოგადოებას აჩვენა თავისი პოზიცია.

მაგრამ ამავე დროს სრულიად დაბნეულმა პოლიტიკურმა პოზიციებმა გვაჩვენა, რომ ხშირად პოლიტიკოსებს ბოლომდე არ აქვთ გააზრებული ელემენტარული დეტალები ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ის ძირითადი საკიდური ლოდი, რაზეც დგას თანამედროვე ქართული სახელმწიფო და ქართული კონსტიტუციონალიზმი და რომელთანაც თამაში სახელმწიფოებრიობისთვის შესაძლოა, სირთულეს წარმოადგენდეს, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

რაც შეეხება ურთიერთდამოკიდებულებას პრეზიდენტსა და პატრიარქს შორის, გიორგი მარგველაშვილის თქმით, „პატრიარქის მიმართ პატივისცემის გამოხატვა ბუნებრივი მოტივაცია და სურვილია“. (ინტერპრესნიუსი)

ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაცია გაქურდეს

ქუთაისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდულ ორგანიზაციათა სახლის“ ოფისი გაქურდეს.

დაზარალებულების თქმით, წაღებულია ორგანიზაციის კუთვნილი ოთხივე კომპიუტერი, რომლებშიც მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა.

– დილით ორგანიზაციაში რომ მივედით, ოფისი უკვე გაქურდული დაგვხვდა. წაღებულია კომპიუტერები. ქურდებს გაჩხრეკილი ჰქონდათ ყველა ოთახი, – ამბობს ორგანიზაციის წევრი გოგა გოგელაშვილი. (pia.ge)

რაც „ნაცებმა“ ვერ გაბედეს ბოტანიკურ ბაღში, ნარმანიას გარემოცვა ჩუმად აპირებს

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



სულ ცოტა ხანში ბოტანიკურ ბაღში, შესაძლოა, ფარშევანგები აგოგმანდნენ, კიდევ ცოტა ხანში კი – სასტუმროები და რესტორნებიც აშენდეს... „ალიასთან“ საუბარში ბოტანიკური ბაღის უკვე ყოფილი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ რასაც მერია აპირებს, აბსოლუტურად დაუშვებელია.

აღნიშნულ საკითხებზე უფრო დეტალურად „ალიას“ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ყოფილი დირექტორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო გოცაძე ესაუბრა:

– ბოტანიკურ ბაღს უნდა შეუერთდეს დენდროლოგიური პარკი და ვერეს ხეობა და ეს სამი დიდი ობიექტი ერთ სტრუქტურულ ერთეულად უნდა გაერთიანდეს, რომლის ხელმძღვანელიც ერთი პირი უნდა იყოს. მთხოვეს, მხარში დავუდგე, დავეხმარო, რეკომენდაციები მივცე და ჩემთან კონსულტაციებით მოახდენენ ამ სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ჩემს განთავისუფლებაზე მინდა ვთქვა, სანამ ძირითად საკითხზე გადავალ. ჩემი განთავისუფლება და ჩანაცვლება ჩემი პირადი განცხადების ან მთავრობის სხდომის გარდა, ვერაფრით მოხდებოდა, სწორედ ამიტომ განცხადება გადადგომის თაობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ დამაწერინეს – შენი განთავისუფლება ისედაც გადაწყვეტილი და მთავრობასთან შეთანხმებულია და თუ პოსტს არ დატოვებ, გაგანადგურებთ, ასე გიზამთ, ისე გიზამთო.

— კონკრეტულად, ვინ გემუქრებოდათ, შეგიძლიათ, მითხრათ?

– 30 ნოემბერს შეხვედრა მქონდა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძესთან. მასთან ერთად ვიღაც მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც ადმინისტრაციის თანამშრომლად წარმოიდგინეს, თუმცა დღემდე ვერ დავადგინე მისი ვინაობა, რატომღაც ყველა მიმალავს. სწორედ ის ადამიანი იმუქრებოდა, რომ მე მაინც გამიშვებდნენ სამსახურიდან, რომ ჩემს წინააღმდეგობას აზრი არ აქვს, რომ ეს უკვე დიდი ხანია, გადაწყვეტილია. ირაკლი ლექვინაძე სიტუაციის შედარებით შემსუბუქებას ცდილობდა და მეუბნებოდა, – უბრალოდ, ამ სამი გაერთიანებული სტრუქტურის ხელმძღვანელი სხვა იქნება, თქვენ ისევ ბაღში დარჩებითო და პირიქით, თქვენთან თანამშრომლობა გვჭირდებაო.

— თუ ასე გაფასებენ, თქვენი რეკომენდაციები და რჩევები მათთვის მნიშვნელოვანია, რატომ არ აწყობდათ ბოტანიკური ბაღის დირექტორად თქვენი ყოფნა? რეალურად, რა მიზნები ამოძრავებთ?

– როდესაც მთავრობის სხდომა ჩატარდა და ახალი დირექტორი მოიყვანეს, მას მოჰყვა ნუგზარ კახნიაური, რომელიც გახლავთ ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე და რომელიც 6 თვის წინ იყო ჩემთან ბაღში. მაშინ მან დაათვალიერა ბაღი, შემდეგ ჩემთან მოვიდა და მითხრა – იქ საკოლექციო ნაკვეთებზე ღობეები უნდა მოიშალოს, ეს არის ძალიან კარგი ტურისტული მონაკვეთი, სადაც ბევრი ტურისტი უნდა მოვიზიდოთ, აქ უნდა ჩაიდგას რესტორნები, სასტუმროები, ჰამაკები უნდა დაიკიდოს, შვლის ნუკრები და ფარშევანგები უნდა გავუშვათ, უცხოელები ბოტანიკურ ბაღში ღამის გათევაზე ძალიან დიდ ფულს გადაიხდიანო და დამიწყო ჭკუის დარიგება, როგორ უნდა ვაკეთო ბიზნესი ბოტანიკურ ბაღში. ვუსმინე ამ ყველაფერს და ეს პიროვნება კაბინეტიდან გავაგდე. ბოტანიკური ბაღი ბომბორას პარკი არაა, რომ კომერციული და გასართობი დატვირთვა ჰქონდეს. აქ არის წითელ წიგნში შეტანილი ცოცხალი მცენარეების უნიკალური კოლექციები, რაზეც კახნიაურმა მიპასუხა, – ვის რაში სჭირდება შენი ბალახიო? როგორც მერე გაირკვა, ამ ადამიანის იდეაა, რომ ბოტანიკურ ბაღს ბიზნესისა და ტურიზმის დატვირთვა მიეცეს, რაშიც ხელი არ უნდა, შევუშალო.

— როგორც მახსოვს, ბოტანიკურ ბაღში რესტორნებისა და ბარების გახსნა თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებასაც უნდოდა.

– კი, ბატონო. 2006 წელს მეცნიერებათა აკადემიისგან გამოაცალკევეს ბოტანიკური ბაღი და ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა. მაშინ ბაღში შევხვდი ადამიანს, რომელიც აზომვებსა და ნახაზებს აკეთებდა და არ იცოდა, ვინ ვიყავი (ეს უკვე 2011 წელს ხდება). ვკითხე ამ პიროვნებას, რას აკეთებდა? მან მიპასუხა, – აქ სასტუმროები, ბარ-რესტორნები უნდა გაკეთდესო და ამისთვის პროექტს ადგენდა. მე მაშინ, რიგითი მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციიდან ძალიან შევეწინააღმდეგე, დიდი ხმაური ავტეხე და სხვა ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, მივაღწიე იმას, რომ ბოტანიკური ბაღი მერიას გადაეცა და განადგურებას გადაურჩა. როგორც ჩანს, მაშინ დაგეგმილი ახლა გრძელდება და რაც „ნაციონალებმა“ ვერ მოახერხეს, ახლა ესენი აკეთებენ ამ ფორმით.

— როგორ მოხდა ბოტანიკური ბაღის დირექტორად თქვენი დანიშვნა? ესეც რომ გვითხრათ.

– ბატონ დავით ნარმანიას მაშინ არ ვიცნობდი, სულ წელიწად-ნახევრის წინათ გავიცანი. თუმცა, როცა ის ბოტანიკური ბაღისთვის დირექტორსა და ეკოლოგიური სამსახურისთვის ხელმძღვანელს ეძებდა, ჩემი კანდიდატურა, რეკომენდაციებთან ერთად, წარუდგინეს. მაშინ შევხვდი ბატონ დავითს, გავისაუბრეთ, თბილისის გამწვანებასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებები მოვახსენე და ისიც ვუთხარი, ბოტანიკურ ბაღში რა როგორ უნდა გაკეთდეს. მიიღეს გადაწყვეტილება და შემომთავაზეს, ვყოფილიყავი ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელი, რაზედაც დავთანხმდი და ბატონმა დავითმა მთავრობაში წარმადგინა, რომ მე მისი კადრი ვიყავი. მანამდე გახლდით „ქართული ოცნების“ გარემოს დაცვითი თემატური ჯგუფის წევრი და წინასაარჩევნო პროგრამის გარემოსდაცვითი ნაწილის ერთ-ერთი თანაავტორი.

— კონკრეტულად, რატომ არის ასეთი საგანგაშო ამ სამი ბაღის, პარკის გაერთიანება?

– ყოვლად დაუშვებელია ბოტანიკური ბაღის რამესთან მიერთება. არც ერთ ქვეყანაში არ არის ბოტანიკური ბაღი, უნივერსიტეტების გარდა, რამეს მიერთებული, თუმცა ესეც არ არის სწორი. მე არ დავთანხმებივარ მათ გაერთიანებაზე, თუმცა ასეთი პოზიცია მქონდა: ადმინისტრაციული შენობები იქ ჯერ არ არის და ერთი ნლის მანძილზე იქ რომ ადმინისტრაციული შენობები გაკეთებულიყო, ხელმძღვანელი იქ გადავიდოდა და ბაღი ისევ დამოუკიდებელი დარჩებოდა. ეს აზრი მე მათ დავუფიქსირე, თუმცა არაფერში აინტერესებდათ, რადგან ეს გადაწყვეტილებები აბსოლუტურად შეთანხმების გარეშე მოხდა და საერთოდ არაფრის კურსში არ ვიყავი.

— საინტერესოა, თქვენ თუ ხედავთ აქ კონკრეტულად მთავრობის რომელიმე წევრის ბიზნესინტერესებს?

– რა გითხრათ... როგორც ბატონმა ირაკლი ლექვინაძემ მითხრა, ეს არის ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ქვეყანაში ძალიან დიდი ინვესტიცია შემოვიდეს, რომ აქ ტურისტული ცენტრები გაკეთდეს. მე მათ ასეთი კითხვა დავუსვი: კი მაგრამ, თუ სამივე ობიექტი გაერთიანდება და ინვესტორი თანხას ჩადებს, ის ხომ მოითხოვს ბოტანიკურ ბაღთან შეხებას? როგორ არის დაზღვეული ბოტანიკური ბაღი, რომ იქ ტურისტული ცენტრი არ გაკეთდება? მოვიფიქრებთ, ეს როგორ გაკეთდესო, ასე მიპასუხეს, ანუ ამაზე ჯერ ნაფიქრიც არ არის.

— შეიძლება, მოსახლეობას გაუჩნდეს განწყობა, რომ, პირიქით, კარგია, თუკი ტურისტები ივლიან ბოტანიკურ ბაღში, რესტორნები და სასტუმროები აშენდება, ეს მოგებას მოიტანს.

– ბოტანიკური ბაღი არის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც აუცილებლად უნდა იყოს მცენარეთა ცოცხალი კოლექცია. ეს ბაღი გახლავთ ოთხსაუკუნოვანი ისტორიის მქონე და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძველესი და პირველი ბოტანიკური დაწესებულება და მსოფლიო ბოტანიკური ბაღების ასოციაციის წევრი. მსოფლიო ბოტანიკოსები საქართველოს ფლორით ძალიან დაინტერესებულები არიან, აქ ინახება ისეთი უნიკალური, იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი მცენარეთა სახეობები, რომელიც სულ სამი-ოთხი ცალია საქართველოში, მათ შორის 3 ჩვენთან ინახება. ბაღში ისეთი რელიეფია, რომ, ჯერ ერთი, ფიზიკურად ვერ დაიტევს ტურისტების დიდ რაოდენობას. წელიწადში ნახევარი მილიონი ადამიანი არის ყველაზე მაქსიმუმი, რაც შეიძლება ბაღმა გაატაროს. იქ თუ ტურისტების დიდი ნაკადი ივლის, ეს უნიკალური კოლექციები დაუცველი იქნება და ადამიანთა დაუდევრობით, გადაშენების პირას მყოფი სახეობების მოსპობის საფრთხე გაჩნდება. ამ ყველაფერს კი დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვება. გარდა ამისა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის, რომ ბოტანიკურ ბაღებში ტურიზმი ისეთ მაღალ დონეზე იყოს განვითარებული, როგორც ეს საქართველოს მთავრობას აქვს გადაწყვეტილი. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ბაღს დენდროლოგიურ პარკსა და ვერეს ხეობას უერთებენ, დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს ძალიან დიდი უარყოფითი რეზონანსი მოჰყვება მსოფლიო ბოტანიკური ბაღების მხრიდან.

— თქვენ ხომ არ გაქვთ უკვე განცხადებები გადაგზავნილი შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში?

– ჯერ არა, მაგრამ ვატყობ, მომიწევს, იმდენად არაპროფესიონალი და არაკვალიფიციური სპეციალისტების ხელშია, ზოგადად, გარემოს დაცვა და კონკრეტულად, ბოტანიკური ბაღის მომავალი ბედი. ასეთ საკითხებს წყვეტენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაფერში ტურიზმს, ბიზნესს ხედავენ და ყველგან ფულის კეთების ადგილს ეძებენ.

„ალია“ მერიის პრესსამსახურს დაუკავშირდა, გვაინტერესებდა, მართლაც იგეგმება თუ არა ბოტანიკურ ბაღთან დენდროლოგიური პარკისა და ვერეს ხეობის მიერთება? გვაინტერესებდა ისიც, არის თუ არა მართლაც გეგმაში აღნიშნულ ტერიტორიებში რესტორნებისა და სასტუმროების ჩადგმა და იგეგმება თუ არა ამ შემთხვევაში, ბოტანიკური ბაღში ტურისტების დიდი რაოდენობით შეშვება? მერიის პრესსამსახურში გვიპასუხეს, რომ არსებული კითხვები ელექტრონულ ფოსტაზე გადაგვეგზავნა და პასუხს ხვალ (ანუ გაზეთის გამოსვლის დღეს) მოგვწერდნენ. გამოცემის პერიოდულობის გამო, კითხვების გადაგზავნა დაგვიანებული იყო, ხოლო აღნიშნული მასალის გამოქვეყნება არ შევაფერხეთ. შესაბამისად, „ალია“ მზად არის, აღნიშნულ საკითხებზე მერიის პოზიცია მოისმინოს.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

„მოძრაობას აფერხებს გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა და არა მარჯვენასაჭიანი მანქანები“

„ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ წევრი, ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივას გამოეხმაურა.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინიციატივის მიღება საქართველოში ნაადრევია. კობაიძის განცხადებით, გზებზე სიტუაციის გასაუმჯობესებლად, მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის გაუქმების ნაცვლად, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდეს.

„აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ უნდა განხორციელდეს. ეს ძალიან ნაადრევია. მარჯვენასაჭიანებს რაც შეეხებათ, ჯერ საგზაო ნიშნების პრობლემა უნდა მოგვარდეს, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდეს, შემდეგ უნდა შედგეს დეტალური ანალიზი. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, კონკრეტულ მაღალჩინოსნებს ამ საკითხთან მიმართებაში გარკვეული ბიზნესინტერესები ჰქონდეთ და მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტის ჩაძირვა სურდეთ. სრული ნონსენსია, როდესაც აცხადებენ, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანები აფერხებენ მოძრაობას. მოძრაობას აფერხებს გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა. ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც მარჯვენასაჭიანი მანქანების მეშვეობით დღეს ოჯახს არჩენს და ეს უნდა გაანალიზდეს, სანამ ეს ცვლილებები მოხდება მიღებული“, – აღნიშნავს კობაიძე. რაც შეეხება საჯარიმო ქულათა სისტემას, კობაიძის განცხადებით, ეს სისტემა შტატებშიც და ევროპის ქვეყნებშიც კარგად მუშაობს და ადაპტირებულია.

„ყველას ექნება ის განცდა, რომ ათჯერ აღარ უნდა დაარღვიო მოძრაობის წესები, შესაძლებელია ის საქართველოშიც დაინერგოს“, — აღნიშნავს კობაიძე. (kviira.ge)

ათენში ქართველმა ემიგრანტებმა ჩამოხსნეს ბანერი წარწერით „Republic of Abkhazia“

დეკემბერს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მიმდინარე საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „GREEK TOURISM EXPO“ გამოფენაზე საგამოფენო დარბაზ „metropolitan expo“-ში, მონაწილეობდა 120-ზე მეტი ტურისტული კომპანია და „როფესიონალური მყიდველები“ამერიკიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, ევროპის და ბალკანეთის ქვეყნებიდან.

არაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკას წარმოადგენდა დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შემდგომ, საბერძნეთში მცხოვრებმა ემიგრანტებმა საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის კუთხესთან გამოხატეს საკუთარი პროტესტი, ჩამოხსნეს ბანერი წარწერით „Republic of Abkhazia“, მის მაგივრად დაკიდეს საქართველოს ეროვნული დროშა და გამოფინეს პლაკატი წარწერით „Abkhazia and Samachablo is GEORGIA“ და ბერძნულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი დე-ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლების მიერ შედგენილი სარეკლამო ფლაერები და ბროშურები საგამოფენო სივრციდან გამოიტანეს. (timer.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

პრეზიდენტმა პირველი მოწვევის პარლამენტის 3 წევრი ღირსების ორდენებით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის 3 წევრი ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.

გიორგი მარგველაშვილმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საქართველოში პირველი მრავალპარტიული პარლამენტის შექმნაში გაწეული ღვაწლისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა „სახალხო ფრონტის“ გამგეობის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ნათაძე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მზექალა შანიძე და ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გიორგი ხოშტარია.

გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენები ნოდარ ნათაძეს, მზექალა შანიძესა და გიორგი ხოშტარიას საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე გადასცა, რომელიც თბილისის საკრებულოში გაიმართა. (ინტერპრესნიუსი)

ასტროლოგი: „არ იყიდოთ ბუნებრივი ნაძვის ხე, სახლში „მკვდარ ენერგიას“ შეიტანთ“

ასტროლოგი რამაზ გიგაური „ფეისბუკში“ წერს:

– შარშან დავწერე, საახალწლოდ ნაძვები არ მოჭრათ, ხალხმა კი, თუ სადმე ბუნებრივი ნაძვი ნახოთ, არ იყიდოთ და მხოლოდ ხელოვნური ნაძვის ხეები იყიდეთ-მეთქი.

ამის გამო ვიღაც „ჭკვიანმა“ დაწერა, „რამაზ გიგაური ხელოვნური ნაძვის ხეების ბიზნესშია და ამიტომ მოუწოდებს ხალხს, რომ ბუნებრივი ნაძვის ხე არ იყიდონო“.

წელსაც იგივეს ვწერ და უფრო მეტსაც. არ იყიდოთ ბუნებრივი ნაძვის ხე, რადგან სახლში „მკვდარ ენერგიას“ შეიტანთ. ეს არის საზიანო.

ნაძვის ხის მორთვა მოდის სიცოცხლის ხის მისტერიიდან, რომლის სიმბოლო ჩვენთან საქართველოში იყო ნატვრის ხე. გინახავთ, ვინმეს ნატვრის ხე მოეჭრას და სახლში წაეღოს?! მას, უბრალოდ, რთავდნენ და სურვილებს უთქვამდნენ.

ნაძვის ხე არის სიმბოლო და ამისთვის არ არის საჭირო ტყის გაკაფვა და ნაძვების განადგურება. ისევე, როგორც ბზობას არ არის საჭირო ბზების გაჩეხა, მადლს თქვენს სახლში ქოთანში ჩარგული ბზაც კარგად შემოიტანს.

ასე რომ, ნუ გაჩეხთ ნაძვებს და ნუ იყიდით ახალ წელს ბუნებრივ ნაძვს.

(daijesti.pia.ge)

ლაურა აბრამია
591 97-67-09

„ვერეს ხეობაში გააქტიურდა ძალიან ბევრი ახალი მეწყერი, რომელიც არ ვიცოდით, რომ გააქტიურდებოდა“ – რა საფრთხეებზე საუბრობს ნინო ჩხობაძე

მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე ვერეს ხეობაში არსებულ ახალ რისკებზე საუბრობს. მისი თქმით, ვერეს ხეობის ზედა ნაწილში მეწყრის ახალი კერები გაჩნდა. აღნიშნული განცხადება ჩხობაძემ ვერეს ხეობის განაშენიანების პროექტზე საუბრისას „კურიერთან“ გააკეთა. გარემოს დამცველის თქმით, პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება პრევენციულ ზომებს უნდა მიექცეს:

– როცა საუბრობ, რომ რეკრეაციულ ზონად უნდა გადააქციო ვერეს ხეობა, როცა ამბობ, რომ სხვადასხვა ობიექტები უნდა გააკეთო, ერთ-ერთი ნაწილი არის, როგორ უნდა მოხდეს ევაკუაცია, თუ ისევ წყალმოვარდნა მოხდა. ვერეს ზედა ნაწილი რისკის ქვეშ არის. იქ გააქტიურდა ძალიან ბევრი ახალი მეწყერი, რომელიც არ ვიცოდით, რომ გააქტიურდებოდა, – განაცხადა ნინო ჩხობაძემ.

რა საფრთხეებს უქმნის ახლად გააქტიურებული კერები თბილისს და რამდენად საშიშია ეს მოსახლეობისთვის? „ალია“ ნინო ჩხობაძეს დაუკავშირდა:

— თქვენ ამბობთ, რომ ვერეს ხეობა ისევ რისკის ქვეშაა, რამდენიმე მეწყერი ისევ გააქტიურებულიაო. კერძოდ, რა ადგილებზეა საუბარი?

– ეს არის ზედა ნაწილი, ბაგების მხარესაა გააქტიურებული. ჩვენ არ ვიცით, ისევ როდის მოხდება წყალმოვარდნა, მაგრამ რისკები არსებობს, ამას ჩვენც ვადასტურებთ და მერიის დასკვნაშიც წერია, რომ ეს არის რისკის ზონა, რომელსაც სჭირდება მუდმივი დაკვირვება. დავაკონკრეტებ, გარემოს დაცვის სააგენტოს დასკვნის მიხედვით ვსაუბრობთ ჩვენ ამ რისკებზე.

— და რა რეკომენდაციები გაქვთ ამ საკითხთან მიმართებაში?

– ჩვენ გვაქვს ერთადერთი რეკომენდაცია, რომ ნებისმიერ სიტუაციაში მაინცდამაინც არ გვიაქტიურია ჯერ, მაგრამ, ზოგადად, ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, რომ მინიმუმ რისკების შეფასების ანგარიში უნდა დაიდოს... რაც არ უნდა გაკეთდეს იქ – რეკრეაციული ზონა, სპორტული დარბაზები თუ სხვა, ევაკუაციის გეგმა მაინც აუცილებლად უნდა ახლდეს, უახლოეს პერიოდში უნდა შემუშავდეს ეს გეგმა.

— გასაგებია და ამავდროულად დასახლებულ ზონაზეა საუბარი? არის ისევ ახალი რისკი?

– რისკები არის, რა თქმა უნდა!..

— და მოცემულ სიტუაციაში რა გადაუდებელი ზომებია მისაღები ვერეს ხეობაში?

– ჯერჯერობით ვიცით, რომ გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, ბოლომდე არ არის დასრულებული. მაგის გარდა, კეთდება გაღრმავება ვერეს ხეობის კალაპოტის, გაფართოება პრაქტიკულად იმ შეფუთული ნაწილებისა, რომ მისი გამტარიანობა უფრო მაღალი იყოს. ასე რომ, ყველა ეს ღონისძიება იმისკენაა მიმართული, რომ შემცირდეს რისკის საშიშროება წყალდაგროვების წარმოშობის შემთხვევაში. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს სწორად მიმართული ღონისძიებებია, თუმცა ვიმეორებ, თუ ჩვენ იქ ვაკეთებთ კონცეპტუალურად რაღაცა რეკრეაციულ ზონას თავისი სპორტული დარბაზებით და ა.შ. მაშინ აუცილებლად უნდა შეფასდეს დამატებითი რისკები, მინიმუმ ევაკუაციის გეგმა უნდა ერთვოდეს ამ ყველაფერს, უნდა ვიცოდეთ, ვინ რაზეა პასუხისმგებელი კონკრეტულად.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

3 მეთოდი ახალ წელს ბარაქის მოსაზიდად

ნებისმიერ ჩვენგანს აქვს მოლოდინი და სიმბოლური იმედი მაინც იმისა, რომ ახალი წლიდან ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და რომ ყველა სახის პრობლემა და დარდი, ძველ წელთან ერთად გაჰყვება წარსულს.

2. ოთახის მცენარეებს ქოთანში ცოტაოდენი ბრინჯი ჩაუმატეთ. თუკი მცენარე წლის მანძილზე ბევრჯერ გამოიღებს ყვავილს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს სახლს დამდეგ წელიწადს ხვავი და ბარაქა არ მოაკლდება.

3. ახალ წლამდე ერთი კვირით ადრე შეიძინეთ ახალი

თუმცა, საიმისოდ, რომ ჩვენს ცხოვრებაში სიმშვიდემ და ჭეშმარიტად სტაბილურმა სიტუაციამ დაისადგუროს, აუცილებელია, პირველ რიგში, საკუთარი შინაგანი სამყარო დავალაგოთ „გენერალურად“. ბევრი ვაპატიოთ, სიკეთე ვაკეთოთ, ნაკლებად განვიკითხოთ სხვები და ანგარებით არასოდეს ჩავიდინოთ კარგი საქციელი. სამყარო ზუსტად იმის ანარეკლია რაც ვართ შინაგანად. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. თუმცა საიმისოდ, რომ ახალ წელს ხვავი და ბარაქა მოეზიდათ ოჯახში, სხვადასხვა ხალხში არსებობდა უძველესი და ნაცადი ტრადიციები. ჩვენ მათ შორის სამ, ყველაზე აპრობირებულ ტრადიციას შემოგთავაზებთ:

1. ნაძვის ხე ტკბილეულით მორთეთ – ძალიან ბევრ ქვეყანაში სწამდათ და დღემდე სწამთ, რომ ნაძვის ხის მორთვა სათამაშოებთან ერთად კანფეტებით, სამომავლოდ უპრობლემო წელინადს ჰპირდება ოჯახს. ახალი წლის შემდეგ ეს კანფეტები აუცილებლად უნდა დაურიგოთ ბავშვებს, ხოლო ერთი მათგანი თავად ნაძვის ხის მომრთველმა და ამწყობმა უნდა მიირთვას. ეს მის ცხოვრებაში წარმატებისა და ბედნიერების საწინდარია.

სამზარეულოს ცოცხი, დადეთ ის სახლის რომელიმე კუთხეში ტარით ზემოთ და რაიმე, მკვეთრი ტონალობის ბაფთით მორთეთ. ფერის შერჩევა იმის მიხედვით შეგიძლიათ, კონკრეტულად რა სახის სურვილი გაქვთ დამდეგი ახალი წლისთვის. ასე, მაგალითად, თუკი ლურჯ ბაფთას გამოაბამთ ცოცხს ახალ სამსახურს მიიღებთ, წითელი თქვენთან ფულსა და ბარაქას მოიტანს, თეთრი ვალების დაბრუნებას დააჩქარებს. თებერვალში ბაფთა ფრთხილად მოხსენით ცოცხს და გამოსაჩენ ადგილას შეინახეთ მთელი წლის მანძილზე. შეგიძლიათ ის სამზარეულოს ატრიბუტად (მაგ., ჩაის ტილოდ) გამოიყენოთ. (astrologi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

პუტინს ყირიმში ციმბირელების ჩასახლება სურს — პეტრო პოროშენკო

უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტს ყირიმში ციმბირელების ჩასახლება სურს, თუმცა ყირიმი უკრაინას ეკუთვნის და მის დასაბრუნებლად ყველა საერთაშორისო მექანიზმს, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებებს, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საშუალებებს მიმართავს.

– პუტინისთვის ყირიმი ის ტერიტორიაა, რომელიც უნდა, რომ ციმბირელი მოსახლეობით იყოს დასახლებული, რომელთა გადაადგილება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ან სულაც დიდ სამხედრო ბაზად გადააქციოს. ჩემთვის ყირიმი უკრაინის მინაა, ყირიმელები კი უკრაინელები არიან. ჩვენ განვაგრძობთ ყველა საერთაშორისო მექანიზმით ბრძოლას, მათ შორის სასამართლო, პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებით ბრძოლას იმისთვის, რომ ნახევარკუნძულზე კონტროლი აღვადგინოთ. სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

რა გაარკვია „ალიამ“ საპატრიარქოს კულუარებში ილია მეორის სურვილზე, ჰქონდეს პატიმრების შეწყალების უფლება?

„მაშინ, რატომღაც არც პრემიერს გახსენებია პატრიარქის დიდი ავტორიტეტი და არ მიუმართავს პარლამენტისთვის, რომ კანონის განხილვა გადაედოთ და საპატრიარქოს შენიშვნები გაეთვალისწინებინათ...“

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

„ქართული ოცნების“ მხოლოდ ორიოდე დეპუტატმა არ მისცა ხმა და ერთიორიც კენჭისყრას არ დაესწრო, არადა, საპატრიარქო კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ეს კანონი იმ სახით არ მიეღოთ, როგორც მიიღეს. მაშინ რატომღაც არც პრემიერს გახსენებია პატრიარქის დიდი ავტორიტეტი და არ მიუმართავს პარლამენტისთვის, რომ კანონის განხილვა გადაედოთ და საპატრიარქოს შენიშვნები გაეთვალისწინებინათ.

ალიამ“ ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე პოზიციის მხარდამჭერს ესაუბრა. პირველად **მამა ელიზბარ დიაკონიძეს** დავუკავშირდით:

– პატრიარქს უმაღლესი ნდობა აქვს საზოგადოებისა და თუ ეს უფლება დაუკანონდა, ძალიან კარგი იქნება. ისე არ არის საქმე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ სხვა კონფესიების ვითომცდა დამცველი „რესპუბლიკური პარტია“ და მათი იდეოლოგიის მიმდევარი არასამთავრობო ორგანიზაციები. საპატრიარქოს წარმომადგენელი, კერძოდ, ქორეპისკოპოსი არის შეწყალების კომისიაში წარმოდგენილი, შესაბამისად, პატრიარქის ქორეპისკოპოსი რეკომენდაციას უწევს პრეზიდენტის წინაშე შესაწყალებელ პატიმრებს და მათ შორის არიან არამართლმადიდებელი პატიმრებიც. გარდა ამისა, ჩემთან პირადად მოსულა სომხური ეკლესიის წარმომადგენელი და უთხოვია, კონკრეტული გრიგორიანელი პატიმრის შეწყალებაში დავხმარებოდი და ამ პატიმრის წერილი გაუტანებია პატრიარქთან. დავეხმარე კიდეც, ეს წერილი გადავეცი პატრიარქს და ის ადამიანი, სწორედ პატრიარქის თხოვნით შეიწყალეს.

— პატრიარქს ჰყავს შეწყალების კომისიაში წარმომადგენელი და რაღა საჭიროა, რომ ეს უფლება კანონით ჰქონდეს თუ ის ამას იმსახურებს. მეტიც, ვალდებულია, რომ ეს გააკეთოს და აკეთებს კიდეც, მაგრამ ამის დანახვა არ უნდათ. ამ ულტრალიბერალებმა ატეხეს დიდი ამბავი, არიქა, პატრიარქს შეწყალების უფლებას აძლევენო, მაგათ პატრიარქისა და ქართული ეკლესიის რეიტინგი აგიჟებთ, ეგენი არიან ეშმაკის მოციქულები,

თავიანთი დღე და მოსწრება, მართლმადიდებლურ ეკლესიას ებრძვიან, მაგრამ ვერაფერი დააკლეს, ჩვენი ეკლესია უფრო და უფრო ძლიერდება და ერთიანდება. მათთვის ეს არის სანუკვარი თემა, რომ მორიგი იერიში განახორციელონ საპატრიარქოს წინააღმდეგ.

— საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ პატიმრების შეწყალების უფლება არ უნდა პატრიარქს, ეს განცხადება მხოლოდ ემოციურ ფონზე გააკეთაო. „ალიამ“ კი მოიპოვა ინფორმაცია, რომ რეალურად, პატრიარქს სურს, ეს უფლება ჰქონდეს, მაგრამ, რადგან ამ საკითხმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, მოერიდა

მრევლის მაღალი ნდობა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარი რამ დააკანონო. როგორც სახელმწიფო ვერ შეასრულებს რელიგიური ორგანიზაციის ფუნქციებს, ასევე, რელიგიური ორგანიზაცია ვერ შეასრულებს სახელმწიფოს ფუნქციებს.

— ამ ეტაპზე საპატრიარქომ უკან წაიღო ეს იდეა და განაცხადა, რომ ეს მხოლოდ პატრიარქის ემოციურ ფონზე გამოთქმული სურვილი იყო. დავუშვათ და მომავალში იგივე უფლება მოითხოვა პატრიარქმა, იქამდე მივედით, რომ მისი ეს მოთხოვნა გაითვალისწინა პარლამენტმა და კონსტიტუციური ცვლილებით დააკანონა. შემდეგ რა ხდება?

— თეორიულად, თუ ასეთი რამ მოხდა, ეს ნიშნავს, ჩვენი კონსტიტუციისა და დემოკრატიის საფუძვლების მთლიანად შერყევას. რა არის დემოკრატიის საფუძველი? ძალაუფლება აქვს ხალხის მიერ არჩეულ ორგანოებს ან პიროვნებებს, რომელთაც ამ არჩევნების შემდეგ ენიჭებათ ლეგიტიმაცია. რელიგიური ორგანიზაცია კი, მიუხედავად იმისა, ხალხის რა რაოდენობა უჭერს მხარს, ვერ იქნება ლეგიტიმური. შესაბამისად, ვერც მისი წარმომადგენელი განახორციელებს ლეგიტიმურად ნებისმიერ სახელმწიფო უფლებამოსილებას.

ეს უკვე შეუსაბამობაში მოვა კონსტიტუციისა და დემოკრატიის უზენაესობის პრინციპებთან. კონსტიტუციაში იმგვარი ცვლილებები რომ შევიდეს, რაც თქვენ ბრძანეთ, ეს არაკონსტიტუციური იქნება.

— საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ზაქარია ქუცნაშვილმა გამოსავალი მოძებნა და განაცხადა, ასე გავაკეთოთ, პატრიარქს კი არ ჰქონდეს შეწყალების უფლება, პატრიარქმა პრეზიდენტს შეწყალების კომისიის გვერდის ავლით მიმართოს, ამით არც სეკულარული სახელმწიფოს პრინციპები დაირღვევა და არ დემოკრატიის შეუქმნის საფრთხესო. რას იტყვით დეპუტატის ამ განცხადებაზე?

— პრეზიდენტისადმი მიმართვის უფლება ახლაც აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს და ცხადია, რელიგიურ ლიდერსაც. შემდეგ უკვე პრეზიდენტის გადასაწყვეტია, კომისიას გადაუგზავნის თუ კომისიის გარეშე შეიწყალებს. ამის უფლებამოსილება თქვენც გაქვთ და მეც მაქვს და ეს არ არის სიახლე, ამის გაკეთება ყველას შეუძლია და მათ შორის, პატრიარქსაც. რაც კონსტიტუციურად ისედაც გარანტირებული აქვს თუნდაც პატრიარქს, რაც კონსტიტუციაში ისედაც წერია, რაღა საჭიროა იმის ხელახლა ჩაწერა?

თუ პატრიარქს სურს შეწყალების უფლება ჰქონდეს, მას ეს უფლება მიენიჭება — შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეეძლება, მიმართოს კონკრეტული პატიმრების შეწყალების თხოვნით პრეზიდენტსო.

ქუცნაშვილის ეს განცხადება სარწმუნოს ხდის ჩვენი წყაროს ვერსიას, რომ პატრიარქს სურვილი აქვს, შეწყალების უფლება ჰქონდეს, ოღონდ ამ უფლების მიღება დავიდარაბის გარეშე სურს. ზაქარია ქუცნაშვილის ეს იდეაც მყიფეა.

შეწყალების კომისიაში პატრიარქის ქორეპისკოპოსი შედის, პატრიარქის მიერ შესაწყალებლად მიჩნეული პატიმრების სიას სწორედ ის გადასცემს კომისიას. ცხადია, შემდეგ ამ პატიმართა სია შედის პრეზიდენტთან და მათ შორის, საპატრიარქოს სია ცალკეა. ჩნდება კითხვა — პრეზიდენტი მარგველაშვილი არ იზიარებს ილია მეორის რეკომენდაციებს, მას უარს ეუბნება და ამიტომ გაუჩნდა სურვილი პატრიარქს, დამოუკიდებლად ჰქონდეს პატიმრების შეწყალების უფლება?

არასდროს მიფიქრია პატრიარქის ნების წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ის ხალხია მართალი, ვინც მისთვის შეწყალების უფლების დაკანონებას ეწინააღმდეგება. ქვეყანაში არსებობს პრეზიდენტი, რომელსაც პატიმრების შეწყალების უფლებას კონსტიტუცია ანიჭებს.

„ალია“ ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე პოზიციის მხარდამჭერს ესაუბრა. პირველად მამა ელიზბარ დიაკონიძეს დავუკავშირდით:

გარანტირებული და პრეზიდენტის გვერდის ავლით შეიწყალოს? მით უმეტეს, როგორც ამბობთ, პრეზიდენტი იზიარებს ხოლმე მის თხოვნებს? თანაც ამას ხომ საკონსტიტუციო ცვლილებაც სჭირდება?

– დიდი არაფერი საკონსტიტუციო ცვლილებები არ სჭირდება, ერთ ჩანაწერს გააკეთებენ და ამით დასრულდება ყველაფერი. ამ კონსტიტუციას, როგორც მოეპრიანებათ, ისე ცვლიან ხოლმე და მაშინ რატომ არავის ახსენდება, რომ ამდენი ცვლილება ქვეყანას არ წაადგება? თუმცა, ამ შემთხვევაში დემოკრატიას არანაირი საფრთხე არ დაემუქრება, რასაც ეს ლიბერალები აცხადებენ.

პრეზიდენტს არავინ ართმევს შეწყალების უფლებას, ჰქონდეს ეს უფლება პრეზიდენტსაც და პატრიარქსაც. არც სეკულარულ სახელმწიფოს შეუქმნის ეს საფრთხეს. რა, პატრიარქი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საქმეებში ჩარევას აპირებს? რა თქვა, კანონებს მე დაგწერ და მინისტრებს მოვხსნი და დავნიშნავო?

— სჯულის კანონი არ უკრძალავს პატრიარქს სხვა რელიგიის აღმსარებლობის პატიმართა შეწყალებას?

— სჯული კანონში შეწყალებებსა და ასეთ აქტებზე საუბარი არ არის, სჯულის კანონი მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის სულიერებაში დასაცავი კანონია და არა საკონსტიტუციო სამართალი. იქ არაფერი წერია პატიმრების შეწყალება-არშეწყალებაზე. პატრიარქს არავინ უშლის, შეიწყალოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი, თუ ის ამას იმსახურებს. მეტიც, ვალდებულია, რომ ეს გააკეთოს და აკეთებს კიდეც, მაგრამ ამის დანახვა არ უნდათ. ამ ულტრალიბერალებმა ატეხეს დიდი ამბავი, არიქა, პატრიარქს შეწყალების უფლებას აძლევენო, მაგათ პატრიარქისა და ქართული ეკლესიის რეიტინგი აგიჟებთ, ეგენი არიან ეშმაკის მოციქულები,

საზოგადოების დაპირისპირებას, ასევე, საპარლამენტო უმრავლესობისა და მთავრობის წევრების პრეზიდენტთან დაპირისპირებასო.

– კი, დამაჯერებელი ამბავია, შესაძლოა, მართლა ეგრე იყო. ეს ხომ პირველი შემთხვევაა, როცა საპატრიარქო იჭყლიტება, ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო ინიციატივას ვერ ახმაურებს, ბევრ რამეს ვერ აკეთებს, რადგან ეს ულტრალიბერალები უშლიან ხელს. მათთან მრევლის დაპირისპირების თავიდან არიდების გამო, ბევრჯერ დაუხევია უკან საპატრიარქოს. ამჯერადაც, შესაძლოა, ამასთან გვაქვს საქმე.

„ალია“ კონსტიტუციონალისტ ვახუშტი მენაბდესაც ესაუბრა, რომელიც პატრიარქისთვის შეწყალების უფლების დაკანონების იდეის ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგეა.

– ვფიქრობ, ნორმალური და დემოკრატიული სახელმწიფოსთვის მიუღებელია იმ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფუნქციის რელიგიური ორგანიზაციისთვის გადაცემა, როგორიც არის შეწყალების უფლება. ეს არის სახელმწიფოს უფლებამოსილება და ფაქტობრივად, ეს იმავეს ნიშნავს, ვთქვათ, რომ მსჯავრდების, ან, მოძრაობის წესების რეგულირების უფლებამოსილება გადავცეთ რელიგიურ გაერთიანებას.

— არა, მაგ უფლებებს არც ითხოვდა პატრიარქი, მხოლოდ პატიმართა შეწყალების უფლებაზეა ლაპარაკი.

– მესმის, მაგრამ, რომც მოითხოვონ, ხომ ვერ გადავცემთ?! ამ შემთხვევაში, ეს ერთი და იგივეა. გასაგებია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის წინამძღოლს მაღალი რეიტინგი აქვთ, საკუთარი

მიშა მესხი: „დედათქვენს მიუსამძიმრეთ, ასეთი ნაბოზვრები რომ ჰყავხართ“

ბოლო დროს სხვადასხვა ინტერნეტ-პორტალი რეიტინგის გაზრდისთვის ამა თუ იმ ცნობილი ადამიანის გარდაცვალების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. ერთ-ერთი ასეთი საიტის მსხვერპლი მსახიობი მიშა მესხიც გახდა. წერენ, რომ მიშა კაიფში გაიპარა. ბოროტი ხუმრობის ავტორებს მიშა მესხი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე პასუხობს:

– დედათქვენს მიუსამძიმრეთ, ასეთი ნაბოზვრები რომ ჰყავხართ. არ გამიხურეს ჰენდრიქსივით და ჯოპლინივით გასტუმრებით საიქიოში? ვერ მოგართვით! – წერს მსახიობი. (ambebi.ge)

მარნეულში „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

„ნაციონალური მოძრაობის" წევრის აჰმედ იმამყულიევის თქმით, მარნეულის საკრებულოში, პარტიის დეპუტატებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.

„ჩვენ საქართველოს მასშტაბით პენსიის 50-ლარიანი მატების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ. სწორედ ამ კამპანიის ფარგლებში, მარნეულში და მის სოფლებში, ვაგროვებდით ხელმოწერებს, როცა მარნეულის საკრებულოში ჩვენი პარტიის წევრებს თავს დაესხნენ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აპროტესტებდა ჩვენი მხრიდან ხელმოწერების შეგროვებასა და მოსახლეობასთან შეხვედრას. ვინაიდან, მალევე მივხვდით, რომ ეს დაგეგმილი პროვოკაცია იყო, ჩვენ სხდომა დავტოვეთ, თუმცა მათ დეპუტატებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აღნიშნულის შესახებ სამართალდამცავი უწყებები საქმის კურსში არიან“, – განაცხადა იმამყულიევმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

„წარმომიდგენია, ეკლესიამ, საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მსგავსად, სექტების აკრძალვა რომ მოითხოვოს...“

ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს სურვილს იმის შესახებ, რომ პატიმართა შეწყალების უფლება მიეცეს, ემხრობა. როგორც ფოფხაძე აღნიშნავს, საფრანგეთის კათოლიკურ ეკლესიას ამ მხრივ მეტი გავლენა აქვს...

„როგორც მივხვდი, თეორიული ალბათობის რანგში ითქვა, პატრიარქს პატიმრების შეწყალების უფლება მიეცესო და შემოიგლიჯა ტანზე ნახევარმა „ფეისბუკმა“ ტანისამოსი და წარმომიდგენია, ეკლესიამ, საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მსგავსად, სექტების აკრძალვა რომ მოითხოვოს, რა მოხდება? არადა, საფრანგეთში კათოლიკეებმა ნებისმიერი სექტა ააკრძალვინეს პარლამენტს და თუ ეკლესია არ ცნობს რომელიმე რელიგიურ მიმდინარეობას, როგორც „ტრადიციულ რელიგიას“, მყისიერად არის აკრძალული. მაგ კი არა და, საფრანგეთში ოფიციალურად, აი, ჩვენთან რომ რაღაც ლიდერთა სკოლები არსებობს, მაგათაც კი ოფიციალური სტატუსი არ აქვთ...“ – აცხადებს ფოფხაძე. (რეპორტიორი)

„რატომ ატყუებთ ასე უსინდისოდ ბავშვებს?“

„რატომ ატყუებთ ასე უსინდისოდ ბავშვებს? საბჭოთა კავშირში გვაძალებდნენ, რომ სსრკ მიგვეღო „სამშობლოდო“, – წერს ზოგიერთი!“ – გთავაზობთ იუმორისტ ბაკურ სვანიძის „ფეისბუკ“-პოსტს:

„ზუსტად მახსოვს, სკოლაში როცა მოდიოდა საკონტროლოზე თემა – „რად მიყვარს ჩემი სამშობლო?“ – მეც და ყველა ჩემი კლასელიც ვიწყებდით ასე: „ჩემი სამშობლო – საქართველო ულამაზესი, უძველესი მთა-გორიანი ქვეყანაა...“ და ა.შ. და ამის გულისთვის საყვედურს არავინ გვეუბნებოდა! პირიქით – გვაქებდნენ!!!

მე არ ვიცი, როგორ გაიგებთ, მაგრამ მე რასაც ეს ბოლო 25 წელიწადია ვუყურებ, ქართველებში სამშობლოს გაცილებით მაღალი შეგრძნება და განცდა იყო კომუნისტების დროს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლის მერე! ხოლო „ამერიკანელ“ ქართველებს კიდევ უფრო მეტად არ აინტერესებთ სამშობლოც, ენაც და თქვენ წარმოიდგინეთ – სარწმუნოებაც კი!

ეს ფაქტია და კიდევ ვიმეორებ – ვინც ახლა აპირებს, მითხრას, რომ მე თითქოს რუსები მიყვარს თუ საბჭოთა ნოსტალგია თუ მსგავსი რამ, წინასწარ ვეუბნები – სახლში თქვენიანებს უთხარით ეგ!“ – წერს სვანიძე. (რეპორტიორი)

მამუკა გიორგაძე: ეკლესიას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი როლი პატიმრების შეწყალების საქმეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს პატრიარქმა პოლიტიკური თანამდებობა შეითავსოს!

პატრიარქის განცხადებაზე პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებთ და საზოგადოებაში გავრცელებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, „სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** საუბრობს:

— ბატონო მამუკა, ძალიან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა პატრიარქის განცხადებას, რომ მას პატიმრების შეწყალების უფლება უნდა ჰქონდეს.

– როგორც საპატრიარქომ განაცხადა, მისმა უწმინდესობამ ეს განცხადება ემოციურ ფონზე გააკეთა. ეს იყო პატიმრებისადმი სოლიდარობის გამოხატვა და არა მოთხოვნა, საკანონმდებლო დონეზე დაწყებულიყო ამ წინადადების განხილვა... ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოავლინა გარკვეული ჯგუფებისა და პიროვნებების დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოსა და ზოგადად, საქართველოს ეკლესიის მიმართ. ამ შემთხვევაში ემოციურ ფონს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მისმა უწმინდესობამ დასვა საკითხი, რათა მომხდარიყო მსჯელობა. ის, რომ საპატრიარქოს მონაწილეობა შეწყალების საქმეში, ამ ჰუმანური აქტის განხორციელებაში მისი როლისა და ფუნქციის გაზრდა საჭიროა, ყველამ დავინახეთ, თუნდაც იმ მაგალითიდან, რომ საპატრიარქოს მიერ რეკომენდებულ სიაში შესულია მრავალი სხვა აღმსარებლობის ადამიანი. საქართველოს ეკლესია ამ თავის სოციალურ ფუნქციას, მხოლოდ და მხოლოდ, მართლმადიდებლების მიმართ არ ახორციელებს, არამედ სრულიად საქართველოს მოქალაქეების მიმართ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დაისვა ეს საკითხი. მაგრამ კარგად დავინახეთ, რა აჟიოტაჟიც მოჰყვა ამ ყველაფერს. ამ ყველაფერმა დაგვანახა, რომ ის ადამიანები, რომლებიც თითქოსდა, სიტყვის გამოხატვის თავისუფლებისთვის და საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის იბრძვიან, სინამდვილეში ავლენენ ბოლშევიკური მართვის სახეს. ავლენენ იმას, რამდენადაა მათთვის მიუღებელი ყოველივე ქართული და ნებისმიერი ადამიანის მხრიდან გამოთქმული მოსაზრება, რომელიც მათ ზრახვებში არ შედის. შემაშფოთებელია ხელისუფლების მოქმედებაც, რომლებიც არასოდეს არ ითვალისწინებენ მისი უწმინდესობის ბრძნულ და სახელმწიფოებრივ პოზიციას. ამ დროს კი გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ პატრიარქის ამ ინიციატივას. ინიციატივას, რომელიც ჯერ დაკონკრეტებულიც არაა. ე.ი., რაც მიმდინარე საკითხებია, თავიანთი რელიგიურობისა და პატრიოტიზმის გამოსახატავად მზად არიან, დაუჭირონ მხარი და რასაც პატრიარქი ასწავლის – სახელმწიფოებრივს, ფუნდამენტურს და მუდმივი ღირებულებების მქონეს, ამ საკითხებში მათ არ უნდათ პატრიარქის აზრის გათვალისწინება.

— ბევრმა ეს ინიციატივა პატრიარქის შეურაცხყოფისთვის გამოიყენა. იყო ბრალდებებიც, რომ მას საერო ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურს და თეოკრატიული სახელმწიფოსკენ მიჰყავს ქვეყანა.

– ესაა აბსურდი! ეკლესიას არაფერში არ სჭირდება საერო ხელისუფლებაში რაიმე ფორმით მონაწილეობა. ეს არაა ეკლესიის ფუნქცია და მიუღებელია ეკლესიისთვის. ეს რომ იციან, სწორედ ამიტომაც აბრალებენ მისთვის მიუღებელს. სახელმწიფო უშიშროების სამსახურებმა უნდა გამოიკვლიონ და გამოიძინონ, რატომ ხდება გეგმაზომიერად ამ ადამიანების მხრიდან აპელირება იმაზე, რომ თითქოს საქართველოს საპატრიარქო დემოკრატიულ ნორმებს არღვევს. შესაბამისად, უნდა შესაბამისმა სამსახურებმა. ეს ხალხი ხელს უშლის საქართველოს ევროპულ გზაზე სიარულს. ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს ევროპეიზაციას და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების წარმართვას. მათ სურთ ქვეყანაში იყოს მონოპოლისტური გარემო, რაც ჩვენთვის მიუღებელია და ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა დამთავრდეს.

— თქვენი აზრით, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ერის სულიერ მესაჭეს პატიმრების შეწყალების პროცესში? უნდა იზიარებდეს, თუ არა მის რეკომენდაციებს ხელისუფლება?

– აქ არაა საუბარი მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ შემადგენლობაზე. საქართველოს ეკლესია გრძნობს თავის ზრუნვასა და ფუნქციას საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ. მნიშვნელოვანია ის, თუ რა გვაინტერესებს ციხეებში – გვაინტერესებს ის, რომ იქ შესულმა დამნაშავემ იგრძნოს სინანული მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი, რომ მოხდეს მისი კვლავ რეინტეგრაცია საზოგადოებაში. ამ ფუნქციას საქართველოს ეკლესიაზე უკეთ ვეფოთებელი იყო. საქართველოს ეკლესიას არაფერში არ სჭირდება ხელმოწერით შეწყალების უფლების მოპოვება. საქართველოს ეკლესიის გავლენა, პატივისცემა და როლი იმდენად დიდია, რომ ყოველგვარი ოფიციალური სტატუსების გარეშე, თუკი იქნება ხელისუფლების კეთილი ნება, ეკლესიას შეუძლია უდიდესი როლის თამაში ადამიანების ცხოვრებისკენ შემობრუნების გზაზე. ხელისუფლება, ცხადია, უნდა ითვალისწინებდეს პატრიარქის რეკომენდაციებს. არ შეიძლება პატრიარქისა და რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაცია ერთი წონის იყოს. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს პატრიარქის რეკომენდაციების გათვალისწინება. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ასეთი ავტორიტეტული დაწესებულებისა და პიროვნებების ხედვები, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციაში მოხდეს ცვლილებების შეტანა და სასულიერო პირს მიეცეს საერო საკითხებში გადაწყვეტილებების მიღების უფლება. (ოვერონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

„დამთავრდება საპრეზიდენტო ვადა და გამოვალ რეზიდენციიდან“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გადაცემა „ბარიერში“ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს ავლაბრის რეზიდენციის დატოვება მოუწევს, სურს ეს მას თუ არა. პრეზიდენტის თქმით, მის მიმართ თავდასხმები არ არის ახალი და მარგველაშვილი ვარაუდობს, რომ ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. მისივე თქმით, მისი მიზანია, ქვეყანაში იყოს პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტი. „როდესაც რომელიმე პოლიტიკური ძალა, ან ავტორიტეტული პიროვნება მიგითითებს, რა უნდა აკეთო და შენ დაემორჩილები, როგორ დაიცავ მერე სხვა ადამიანს, როგორ იქნები ბალანსი“, – განაცხადა მარგველაშვილმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

„აქებ გაგინებენ, აგინებ გაგინებენ... იყოს ის ძეგლი, ხელს გიშლის?“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, სოსო ჯაჭვლიანმა ეს განცხადება ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემა „პრიორიტეტში“ დეპუტატ გოგი თოფაძის იმ მოსაზრებაზე გააკეთა, რომლის მიხედვითაც ყველა კაბინეტში სტალინის სურათი უნდა ეკიდოს. ჯაჭვლიანი ამბობს, რომ სტალინის მიმართ მას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, თუმცა გორში მისი ძეგლის დადგმა პრობლემად არ მიაჩნია. დეპუტატის აზრით, სტალინი არის ისტორია, რომელიც გორში ტურიზმის განსავითარებლად შეიძლება გამოიყენო. (პირველი რადიო)

„არავინ იმაღლებს ხმას მუნიციპალურ ვალდებულებებზე!“

უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე საზოგადოების ყურადღებას მუნიციპალურ ვალდებულებებზე ამახვილებს და სოციალურ ქსელში წერს:

„ტროტუარებზე მაპარკინგებელ ავტომფლობელთა მიმართ აგრესიის გამოვლინებას კამპანიური ხასიათი აქვს რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც აქცენტებს აკეთებენ მოქალაქე ავტომფლობელთა დაბალ სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და კულტურაზე და არავინ იმაღლებს ხმას მუნიციპალურ ვალდებულებებზე - მიწისქვეშა/მიწისზედა სადგომების მოწყობის გადაუდებელ აუცილებლობაზე! რა ქნას ადამიანმა, საერთოდ არ გააჩეროს იმ ობიექტთან მოშორებით მაინც, საითაც მიემგზავრება, თუ ადგილების დეფიციტის გამო უარი უთხრას საკუთარ თავს ავტომანქანით მომსახურებაზე?! ვერაფრით დავიჯერებ, რომ ის, ვინც ზემოხსენებულ მძღოლებს განიკითხავს, თავად არის სანიმუშოდ მოწესრიგებული, თუ კი მძღოლია, რადგან დღეს შეუძლებელია უპრობლემო პარკირება, ვინაიდან პარკირების სერვისი რეალურად არ გაგვაჩნია და სახელდახელოდ დახაზული პარკირების ადგილების რაოდენობა, მეათედითაც ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნას. თუ რეალურად შეგვტკივა გული ფეხით მოსიარულეთა შელახული უფლებების გამო, რომელთა რიცხვში განსაკუთრებით გამოვყოფდი ეტლით მოსარგებლეებს და სხვა შშმ პირებს, ვიზრუნოთ იმაზე, რომ ურბანული განვითარების გეგმის ფარგლებში ყველა უბანს, მიკრორაიონს, კვარტალს, ჰქონდეს პარკირების სივრცე!“ (postalioni.ge)

„არჩევნები კარსაა მომდგარი და კოჰაბიტირებულებს კიდევ დავჭირდებით, რაზედაც საშინელ პასუხს მიიღებენ“

ზესტაფონში, 200-ზე მეტი კერძო მესაკუთრე, რომელთა საწარმოები და სავაჭრო ობიექტები რუსთაველის ქუჩაზეა განლაგებული, ქუჩის გადათხრასა და სილიკომანგანუმის ონკოსაშიში-მეორადი ნარჩენების მოპოვების სამუშაოების დაწყებას აპროტესტებენ. ისინი ადგილზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ჩასვლას და მასთან შეხვედრას მოითხოვენ.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, გამგებლის პასუხი მათ მოთხოვნაზე და კომპანიის მიერ კომპენსაციის გასაცემად მზაობა, არადამაკმაყოფილებელია.

„3 წელია, ძალოვნების ტერორისა და გამუდმებული ბიუროკრატიული მუქარის ქვეშ გვიწევს არსებობა, ბუნებრივია, ჩვენ უკან ოჯახის წევრები, საბანკო და საგადასახადო ვალდებულებებია, ქვეყანაში ისედაც ურთულესი ეკონომიური კრიზისის ფონზე, ძლივს ვახერხებთ პრობლემებიდან თავის დაღწევას და შპს გ.მ.-ღა გვაკლდა, რომელმაც განზრახ, მიწურულს გამოგვიგზავნა ციინიზმით აღსავსე, ე.წ. „ხელშეკრულებების ფორმები“, რომლის თანახმადაც, თურმე, ჩვენი ობიექტების პარალიზების საზღაურად, საკომპენსაციოდ თითოეულ ჩვენგანს, თვეში 100 ლარს გადაგვიხდიან, მაშინ როდესაც პენსიონერებს 160 ლარი ეძლევათ.

აქვე ხელთ გვაქვს ჩვენი პერსონალური, საბანკო, ყოველთვიური ვალდებულებების გრაფიკი და ვკითხულობთ, როგორ გადავიხადოთ გადასახადები და როგორ შევინახოთ ოჯახები თვეში 100 ლარად. გამგებელი ტარიელ თუთარაშვილი, გამგებლის მოადგილე, ბატონი კრავეიშვილი, პასუხისმგებლობას „ტექნიკურად“ იშორებენ და მართალი კაცივით, ცინიკურად სამინისტროსკენ გადაგვამისამართებენ. იქ კი, კარგად დატრენინგებული დილეტანტები, გათხრების აუცილებლობაზე „გვარწმუნებენ“ – „შეკრულები არიან და ერთად უნდათ, რომ იშოვონ“.

მესაკუთრეების მიერ დასაბუთებული, ყოველდღიური ლუკმა-პურისა და პოტენციური კლიენტურის დაკარგვის რისკების გარდა, პროტესტს ადგილობრივი მოსახლეობაც გამოთქვამს და პერმანენტული აქციების გამართვასა და ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ, პრემიერ-მინისტრის აპარატში შესატანად – „მედიკოსები „ზურგსუკან“ გვარწმუნებენ, რომ მიძინებული რადიოაქტიური ნარჩენების ამოღებით გააქტიურდება და ამოიფრქვევა მანგანუმის დიოქსიდი და ტოქსიკოსაშიში აირები, რაც, განსაკუთრებით, მოზარდებში გამოიწვევს ლეიკემიას, ენდოკრინოლოგიურ და ონკოლოგიურ დაავადებებს – ეს ისედაც არ აკლია ქალაქს.

წერილობითვე მივმართავთ „წითელი ჯვრის“ ოფისს და ვთხოვთ, ადგილზე შესწავლილი იქნას ეკოლოგიური საფრთხეების რისკები, ასევე მივმართავთ უცხოურ დიპლომატიურ კორპუსებს, აშშ-სა და გაეროს საელჩოებს თბილისში. სასამართლო ინსტანციებში შეტანილი გვაქვს სარჩელები, თუმცა მათი იმედი ნაკლებად გვაქვს, სასამართლო განჩინებები ხომ რეალურად რესტორნის კუპეებში წყდება. სად არიან უფლებადამცველები, ნანუაშვილი და ბესელია? ან სადაა ჩვენი რჩეული საკრებულო? „ოცნების“ ხელისუფლება ნაადრევად დაყრუვდა და აღთქმული „ხალხის მსახურება“ დიქტატურაში გადაიზარდა. მოსწრებაზე არიან და ყველაფერზე მიდიან, არჩევნები კარსაა მომდგარი და კოჰაბიტირებულებს კიდევ დავჭირდებით, რაზედაც საშინელ პასუხს მიიღებენ ჩვენგან. 2013 წლიდანვე „შეკრულები“ არიან ადგილობრივ მეტალის მაფიასთან – მხოლოდ ღარიბაშვილის რეაქციას ველოდებით“, – აცხადებენ ადგილობრივები და პრემიერის ყურადღების მისაქცევად, ცენტრალური საავტომობილო გზა გადაკეტვას აპირებენ. (news.ge)

„დევნილებო, გამოფხიზლდით, დროა ხმა ამოვიღოთ!“

„დევნილთა პარტიის“ თავმჯდომარე ლელა გულედანი დევნილთა დახმარებებზე ამახვილებს ყურადღებას და სოზარ სუბარს საჯაროდ მიმართავს. პარტიის თავმჯდომარე აქვე დევნილებსაც მიმართავს და საკუთარი უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს.

„დევნილთა განსახლების მინისტრი დევნილებს 1250 ლარზე მეტი შემოსავლით მილიონერებს უწოდებს. სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ შემწეობა ღარიბ დევნილებს უნდა მიეცეთ და არა „მილიონერებს“. მისი თქმით, სწორი პოლიტიკა იყო, როდესაც გადაწყდა, რომ დევნილი, რომლის თვიური შემოსავალი აღემატება 1250 ლარს, შემწეობას ვერ იღებს. მინისტრი ასევე აცხადებს, რომ დევნილთა შემწეობების ასეთ გადანაწილებაზე რეკომენდაციებს რამდენიმე წელია საერთაშორისო ორგანიზაციები და ქართული არასამთავრობოებიც აყენებენ. სამინისტრომ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ამ განცხადებით. ის დევნილი ხალხის ჯიბეებში უსინდისოდ იქექება და 45-ღარიან მათხოვრულ შემწეობას ამადლის. არ გაგვიკვირდება, თუკი სამინისტრო ცოტა ხანში განცხადებას გააკეთებს იმის შესახებ, რომ 23 წლის განმავლობაში შემწეობის სახით დევნილებს ის ქონება აგვინაზღაურა, რაც აფხაზეთში დავკარგეთ და ამით დევნილების პრობლემებს მოგვარებულად ჩათვლის. ვაი რომ კატასტროფის გზაზე ვართ და რეალური საფრთხე გვემუქრება, ასეთი გულქვა და სამარცხვინო ხალხის თანამდებობებზე ყოფნით. სუბარის განცხადებით „დახმარება უნდა მიეცეთ იმათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება და არა ყველას, განურჩევლად იმისა, ვინ მილიონერია და ვინ ღარიბი“. ანუ ბატონო სოზარ, ვისაც 1250 ლარზე მეტი შემოსავალი აქვს, მილიონერია?

აბა, ჰკითხეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, 1250 ლარის დოლარის ეკვივალენტის შესაბამისი შემოსავლით ევროპაში მცხოვრები ადამიანი მილიონერად თუ ითვლება? არა მგონია, ევროპელებმა არ დაგიდასტურონ, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასები ევროპაში გაცილებით იაფია, ვიდრე საქართველოში? მაშინ თქვენ, ბატონო მინისტრო, მულტიმილიონერი ყოფილხართ. თუ კი ამდენი მილიონერი გვყავს დევნილებს, სახელმწიფო ბიუჯეტს თურმე დევნილები ვავსებთ. ჩვენ, დევნილებმა, ხომ არ გადავუკეტოთ საარსებო წყარო სახელმწიფოს? და ამ პირობებში 45-ლარიანი სამარცხვინო დახმარება სახელმწიფოსთვის პრობლემა გახდა?

ბატონო სოზარ ასევე ტყუით, და ჩირქს სცხებთ ქართულ არასამთავრობებს, როდესაც მათი სახელით ლაპარაკობთ, ან გვითხარით, ვინ აყენებს ამ ინიციატივას, როდესაც დევნილთა სამინისტროს ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში, მხოლოდ საქართველოს იურისტთა ასოციაცია შედის. დევნილებო, გამოფხიზლდით, დროა ხმა ამოვიღოთ და ერთად დავდგეთ ჩვენი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად!“ – აცხადებს გულედანი. (postalioni.ge)

„სამწუხაროდ, ჩვენ დაგვრჩა ორი არჩევანი – ან ვიცრუოთ ფიცის ქვეშ, ან დავტოვოთ ქვეყანა“

თბილისის მერის ყოფილმა მოადგილემ დავით ალავიძემ ქვეყანა დატოვა. მიზეზები მან განცხადებაში განმარტა, სადაც, თავისი საქმის გარდა, პოლიტიკური ოპონენტების დევნის შესახებ საუბრობს.

„ორ წელზე მეტია, სასამართლოში მიმდინარეობს პროცესი ჩვენს საქმესთან დაკავშირებით. სამი წელია, ვაკვირდებით, სასამართლო და პროკურატურა ბიძინა ივანიშვილის ხელში როგორ გადაიქცა ნელ-ნელა, ეტაპობრივად, მისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად. თუ არა პოლიტიკური ოპონენტების დევნა, მაშინ რა ახსნა უნდა მოეძებნოს იმას, რომ 27 მაღალჩინოსნის დაკავების საქმე, რომელიც უკანონო დაკავებადაა აღიარებული ძალაში შესული სასამართლო განჩინებითა და სახალხო დამცველის მიერ, დღესაც პროკურატურის თაროზე დევს, ხოლო უკანონო დაკავებაში მონაწილე ორასამდე ადამიანიდან ერთიც კი არაა დაკითხული. ასევე, პროკურატურაში დევს გამოკითხვის ოქმი და თქვენ ამ სასამართლო პროცესზე მოგეცემათ საშუალება, მოისმინოთ მოწმის ჩვენება, რა გზით, რა ხერხებით და როგორი კანონდარღვევით ხდებოდა ჩვენთან მოლაპარაკება პროკურატურის მალალჩინოსნების მხრიდან, წინასწარი პატიმრობის დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

თუ არა პოლიტიკური დევნა, რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ პირდაპირი წესით არჩეულ მერს საქალაქო სასამართლომ ჯერ შუაღამეს, ზეპირი მოსმენის გარეშე, კონსტიტუციის დარღვევით შეუჩერა უფლებამოსილება, ხოლო შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს კანონიერი დადგენილება საერთოდ არ აღასრულა. რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ საარჩევნო კამპანიის პერიოდში დაკავებულმა თბილისის ყოფილმა მერმა სასამართლოსა და პროკურატურის ძალისხმევით, კონსტიტუციის გათელვით ცხრა თვის მაგივრად თხუთმეტი თვე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. ექვსთვიან სამართლებრივ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, სრულიად სხვა საქმეზე შეთითხნილი გამამტყუნებელი საპატიმრო განაჩენით, საქალაქო სასამართლომ ყოფილი მერის დაკავება 23 საათში მოახერხა.

ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მსგავსი ფაქტები მრავლადაა, მაგრამ არ შემიძლია, არ ვახსენო „რუსთავი 2“-ს საქმე, საქალაქო სასამართლოზე გაუსაძლისი ზეწოლისა და წნეხის შედეგად ურთმელიძის ხელით მიღებული გადაწყვეტილება. სასამართლომ არაბუნებრივი, ზერეკორდული სისწრაფით განიხილა „რუსთავი 2“-ს საქმე; რიგი ობიექტური და დასაბუთებული შუამდგომლობის მიუხედავად, ვერაფრით აიცილა ურთმელიძეს საქმე ისე, რომ საკუთარ დედაზეც კი ათქმევინა მას უარი; ორგვერდიანი, გაყალბებული, გაურკვეველი წარმომავლობის მქონე ექსპერტის ხელმოწერილი „მტკიცებულების“ საფუძველზე, მიიღო სრულიად უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ქონების კეთილსინდისიერი შემძენების წინააღმდეგ; რიგი მიზეზების გამო, ვერ მისცა მსვლელობა დაუყოვნებლივ აღსრულებას, მაგრამ სულ ცოტა ხანში მაინც გადაბიჯა საკონსტიტუციო სასამართლოს, დაარღვია საპროცესო კოდექსი და ზეპირი მოსმენის გარეშე, აბსურდული დასაბუთების საფუძველზე, დანიშნა დროებითი, მიკერძოებული მმართველები მათი უფლებების ჩამონათვალით, რადგან ასეთი ცნება კანონმდებლობაში არ არსებობს; ეს ყველაფერი დაკანონდა 17-გვერდიანი ისეთი განჩინებით, რომელსაც ურთმელიძე ასეთ მოკლე დროში ვერ მოაბამდა თავს და რომელშიც ასევე დაწესებულია ცენზურა მედიისთვის; მთავრობამ დაინახა რა საერთაშორისო თანამეგობრობის, არასამთავრობო სექტორისა და მთლიანად საზოგადოების აღშფოთება და ერთსულოვნება, კვლავ სასამართლოს ხელით და ისევ ურთმელიძის განჩინებით დროებით შეაჩერა მკაფიოდ განზრახული, მაგრამ ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებული უკანონობა.

დღეს ყველა ხედავს, რომ ესაა დაკვეთა და პროკურატურასა და სასამართლოსთან ერთად ბეჯითადაა ჩართული მთავრობისა და ივანიშვილის ფერხულში, რათა მოისპოს ქვეყანაში ძირითადი ოპოზიციური ძალა და მასთან ერთად კრიტიკული აზრის გამოთქმის სივრცე. იმ ხალხის დაკვეთა, რომლებიც ცდილობენ თავიანთი უუნარობა და უნიათობა გადაფარონ და ხალხს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მაგივრად, უნიჭოდ დადგმული შოუ შესთავაზონ. ყველაზე დასანანია და ფაქტი სახეზეა, რომ საქართველო უხვევს დასავლეთისკენ მიმართული ვექტორიდან, ყოველივე ეს კი ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მეგობრების რეაქციებიდან და განცხადებიდან.

ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, ჩვენ ერთგულად ვემსახურეთ ჩვენს ქალაქს. ვხედავთ, რა ძნელია სიმართლის დადგენა სასამართლოში, ვხედავთ, რომ პროკურატურის მასალები ამ საქმეზე არის სრულიად უსუსური და მათი მთავარი ამოცანაა, მოძებნონ ე.წ. მოწმეები, ანუ ცრუმოწმეები, რომლებიც ხელს დაადებენ გიგი უგულავას. პროკურატურა დღიდან ჩვენი დაკავებისა ითხოვს არა სიმართლის დადგენას, არამედ გვაიძულებს, ცრუ ჩვენების საფუძველზე ხელი დავადოთ და ცილი დავწამოთ უდანაშაულო ადამიანს.

სამწუხაროდ, ჩვენ დაგვრჩა ორი არჩევანი – ან ვუღალატოთ ჩვენს ადამიანობას, ღირსებას, სინდისს, ფასეულობებს და ვიცრუოთ ფიცის ქვეშ, ან დავტოვოთ ქვეყანა. სამწუხაროდ, მთავრობისა და პროკურატურის ზეწოლა ჩვენ სხვა არჩევანს არ გვიტოვებს. ჩვენ ავირჩიეთ მეორე გზა, რადგან არ გვსურს 11 წელი პოლიტპატიმრებად გავატაროთ გისოსებს მიღმა, დანაშაულისთვის, რომელიც ცხადზე ცხადია და თქვენთვისაც ცნობილია, რომ არ ჩაგვიდენია“, – აღნიშნულია განცხადებაში. (news.ge)

1.მხ/ფ „დაკარგული ...
2. ღმერთი სკანდინავ. მითებში
3.თვითმფრინავიდან გადმოსახტომი
4. გარგანტუა და ...
5. ქალაქი რუსეთში
6. ნიანგის სახეობა
7.ისლანდიელი მომღერალი ქალი
8. ნილოსის რეპტილია
9. ოვალური სოფლად
10.„იმერული ესკიზები“ მათხოვარი
11. გრძელი კბილი
12.ინდოეთში გავრცელებული ნიანგი
13. მონაფის მაგიდა
14.მეწათმოქმედების სპეციალისტი
15. ცხენების სარბენი ადგილი
16.„შერეკილები“ ... კუჭუხიძე
17.მაჭანკლები: ხანუმა და ...
18. სახელმწიფო აზიაში
19.პაპის რეზიდენციაროომში
20. ფრინველის სამწყვდევი
21. მსახიობი ერიკ ...
22. იტალიური ავტომობილი
23.ფეხბურთელი ... ანრი
24. შხამიანი გველი
25. მინდვრის ყვავილი
26. ნაგვის ყუთი
27. ყურძნის ჯიში
28. ქვის სამარხი
29.რუმინეთის დედაქალაქი
30. ლორის ცხვირი
31. ქალაქი ინგლისში. გადის მერიდიანი
32. ქიმიური ელემენტი
33. გემის გვერდი
34.მისი დედაქალაქია თეირანი
35. ჰომეროსის პოემა
36. მახრჩობელა გამელი ამბრონში
37. თევზის ჯიში
38.ისრაელის დედაქალაქი
39.რეჟისორი ... ლი
40.მტაცებელი კატისებრ. ოვალხიდან
41. კოვზი, ჩანგალი, ...
42.გეოგრაფიაში: გრძედი და ...
43. ნასესხები ფული
44. ანტიკური საბერძნეთი
45. ნახ. კუნძული აზიაში
46. მსახიობი ... სუეზი
47. ჰიუგო. „გაჩეცცულნი“ ... პონმერსი
48.გოლიათი ქართ. ზღაპრებში
49. შვარცენეგერი: „კინის ...
50. ... ლოლობრიჯიდა
51. ბილიარდის ჯოხი
52. ხორბლის ღერები
53. ღარიბის საპირისპირო
54. აფროამეიკელი
55.სოლჟენიცინი. „არქიპელაგი ...
56.ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი
57. ძიძა
58. მხატვარი ... დი ბონდონე
59.... შრომა, მერე ხტომა
60. ქმრის ძმა
61. მსახიობი ... ჭიჭინაძე
62. ფაშვის ნგნიანი
63. თბილისის უბანი
64. მწვავე ტოხნილიტი
65. იალქანი
66. ... სულაკაური
67. გულის მთავარი სისხლძარღვი
68. „... ფრანკის დღიური“
69. თუ გული გულობს, ... ორი ხელით იჭმეტაო
70. შავი ზღვის ზვიგენი
71. ოსური ცეკვა
72. იტყვიან ანაკ. კიტრზე
73. გაუშლელი ყვავილი
74. „... დოუელის თავი“
75.ყაზახეთის დედაქალაქი
76. მშვილდით სასროლი ჯოხი
77.მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
78. პერსონა ... გრატა
79. ქრისტიანთა წმინდა თასი
80. კაპიტან ნემოს გემი
80ა. მსახიობი ... დეპი
81. ფეთქებადი ნივთიერება
82. მიწის ფართობის ერთეული
83. მდინარე საფრანგეთში
84. „იზა“ ავტორი
85. სახელმწიფო ევროპაში
86.რეჟისორი ... კუროსავა
87. გრძელი კარავი
88. საესტრადო სასულე ინსტრუმენტი
89. შვედური საესტრადო ანსამბლი
90. სოფელი საგარეჯო რაიონში
91. კოვბოის ქამანდი
92. აბაზანის ინვენტარის ფირმა
93. მსახიობი ... ჰათაუეი
94. ლორის ნაშიერი
95. უდაბნო აფრიკაში
96.ქართ. მინერალ. წყალი
97. სილამაზის ქალღმერთი
98. ... ფიტცჯერალდი
99. ჩუქჩების ქონი
100.კლდიანშვილი. „ბაკულას ...
101. მსახიობი ჯიმ ...
102. ანჩხლი
103. თანხა, რომელსაც ოჯახიდან ნასული მამა უნდის შვილებს
104. ფირმა „... დეკედსონი“
105.ერთ ფეხზე დგომა ბალეტში
106.კათოლიკური საგალო - ბელი
107. თქმულება ღმერთებზე
107ა. სახოტბო ლექსი
108. პოეტი ... ბოლქვაძე
109.რეჟისორი ... ფონ ტრიერი
110. მსახიობი ... ნინიძე
111. სამაგიდო თამაში
112. ფოლადის სადნობი ღუმელი
113.მსახ. ... ბეგალიშვილი
114. ქიმიური ელემენტი
115. კონგოს დედაქალაქი
116.მომღერალი ... სოხაძე
117.დიზაინერი ჯორჯო ...
118. ... ია
119. სათვალანი გველი
120. მამლის ჯიღა
121. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
122. იაპონური ალუბალი
123. მსხვილი ნანლავის ანთება
124. დროის საზომი მექანიზმი
125. ქალის შიდა სამოსი
126. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
127. ხილის ნაჭუჭიანი გული
128. ტბა აფხაზეთში
129. ... პუგაჩოვა
130. თავბრუსხვევა
131. ქართ. ანბანის ბოლო ასო
132. მსახიობი ... რიშარი
133. მსახიობი ... მენდესი
134. თურქეთის დედაქალაქი
135. ... ვეგასი
136. შოტლანდიური ნაგაზი
137. უფრთო ფრინველი
138. ტალახი
139. პატარა ტანის ძაღლი
140. მამაკაცის მაღალი ხმა
141. ... ...
142. წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან რაც ტოლია 3.14
142. მსახიობი ბრიუს ...
143. ცისა-რტყელას ფერი
144. ხორბლის ჯიში
145. სანელებელი
146. მტაცებელი ფრინველი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

ანგარიშები: 1. ნარდოთბე; 2. ლოკი; 3. ანარეკლები; 4. ანენგრეფსენლი; 5. ტოლი; 6. ალიფანეფორა; 7. ბოთლი; 8. ნიანგი; 9. ეიმანი; 10. ალიფანეფორა; 11. ეფეი; 12. ბეიოლი; 13. ბენმინვენ; 14. აგროფიბრა; 15. ალიფანეფორა; 16. ნიმბინვენ; 17. ქიბიანო; 18. ბიბეფალიფეი; 19. ეიანეანი; 20. ბალი; 21. ბიბეი; 22. „ფიანი“; 23. ტოლი; 24. ბანიანი; 25. ეიანი; 26. ეალიფანეი; 27. ბიბეი; 28. ეალიფანეი; 29. ენეანეფეი; 30. ფიბეი; 31. ანიბეფეი; 32. ეანეანეანი; 33. ბიანი; 34. ანიანი; 35. „ალიფანეი“; 36. ანიბეფეი; 37. ეანეიალეანი; 38. ბიბეი; 39. ეანეი; 40. ეეეეი; 41. ფეანი; 42. ბიბეი; 43. ეეალი; 44. ეალიფანეეალი; 45. ბიფალიანეეალი; 46. ბანეეანი; 47. ბიანოეეეეეი; 48. ფეეეეი; 49. بببببب

ყველაზე უცნაური სერვისები, რომლითაც სხვადასხვა ქვეყანაში შეგიძლიათ ისარგებლოთ

ადამიანის ფანტაზია შეუზღუდავია ისევე, როგორც ფულის შოვნის დაუოკებელი სურვილი. ამ პირდაპირპროპორციული ცნებების გასამართლებლად რამდენიმე უჩვეულო მაგალითს გთავაზობთ:

– ბოდიშის მოხდის სამსახური – რამდენიმე იაპონურმა სამეწარმეო კომპანიამ ბოდიშის მოხდით ბიზნესის კეთება გადაწყვიტა. შესაძლებელია თქვენი სახელით საბოდიში მეილის გაგზავნა ან ტელეფონით დარეკვა, რაშიც 96 დოლარს გადაგახდევინებენ. თუ გინდათ, ვინმე პირადად მივიდეს სასურველ მისამართზე ბოდიშის მოსახდელად, მაშინ 240 დოლარი დაგიჯდებათ. ცრემლიან თვალებზე კი ტარიფი უფრო მაღალია.

– ყურის წმენდის სერვისი – რაც არ უნდა ითქვას იაპონიაში ბავშვობაზე ნოსტალგიაშემოწოლილ ხალხში ძალიან პოპულარულია ეს სერვისი. ეს პროცესი კლიენტებს ბავშვობასა და დედის მზრუნველობას ახსენებს.

– ჯუჯის სროლა – როცა წვეულებაზე ყველა კონკურსი დამთავრებულია, სტუმრებმა მოიწყინეს და არ იცით, რით გაართოთ ისინი, შეუკვეთეთ ჯუჯა. ჯუჯის სროლა – სწორედ ასე ცდიან საკუთარ ძალებს ამერიკულ ბარებში, კანადურ კლუბებსა და ბრიტანულ პაბებში.

– მეორე ნახევრის დაქირავებით – როცა ყველა ნათესავი, ნაცნობი და უცნობიც თავს გაბეზრებენ კითხვებით, როდის დაოჯახდები, რატომ არავის ხვდები და ა.შ ჩინეთსა და იაპონიაში შეგიძლიათ, შეუკვეთოთ მეორე ნახევარი ქირით, ცოტა ხნით მაინც რომ დაადუმოთ არამკითხე მოამბეები.

– ოქროს თევზი მარტოხელა მოგზაურებისთვის – მათთვის, ვინც ნომერში მარტო ყოფნით მოწყენილია და ნანობს, რომ სამოგზაუროდ მეგობრებთან ერთად არ წავიდა, ჩეშირის საგრაფოს ერთ-ერთ სასტუმროში არსებობს სერვისი, რომლის საშუალებითაც 5 ფუნტად ოქროს თევზიან აკვარიუმს მიართმევენ.

– ბებიას მომსახურება – თუ ორგანიზმში ღვეზელებისა და ბლინების დეფიციტი გაქვთ, ავსტრალიური კომპანია გთავაზობთ ბებიას ქირით. კომპანიის სლოგანია – „ჩვენი ბებიების ნდობა შეიძლება!“

– პირადი პაპარაცი – ყველაზე კარგი და გულახდილი ფოტოები შემთხვევით გადაღებული ფოტოებია. ასეთ ფოტოებს ნიუ-იორკში არსებული ფირმა გთავაზობთ. მართალია, პროცესი ცოტა უცნაურია, უცნობი ადამიანი მთელი დღე დაგყვებათ და ფოტოებს იღებს, მაგრამ შედეგი აუცილებლად თქვენთვის სასურველი იქნება.

– ანონიმური გაფრთხილება ცხვირში თმის არსებობის შესახებ – იმისთვის, რომ უხერხულ სიტუაციებს თავი აარიდოთ, არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც თქვენს კოლეგას შეუმჩნევლად გააფრთხილებს, რომ თავის მოწესრიგება სჭირდება. თავიდან ეს მომსახურება პოპულარული მხოლოდ იაპონიაში იყო, მოგვიანებით მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

– პორტრეტი ფერფლისგან – გარდაცვლილის მტვრის პორტრეტი დაახლოებით 127 დოლარი ღირს.

– კაქტუსის მასაჟი – მექსიკის კურორტებზე სხვა საინტერესო შემოთავაზებებთან ერთად, შეგიძლიათ კაქტუსის მასაჟითაც ისარგებლოთ.

– სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სადილი – ტორონტოში არსებული სერვისის თანახმად, შესაძლებელია სიკვდილმისჯილისთვის უკანასკნელი სადილის შეკვეთა, რასაც ბონუსად მოჰყვება დისკი ვიდეოთი და იმ ადამიანის სახის ქაღალდის ნიღაბი, ვისთვისაც საკვებია შეკვეთილი.

– ცხოველების ფეკალიების წმენდის სერვისი – ფეხდაფეხ მიყოლა და სხვისი ცხოველების ფეკალიების წმენდა – იდეა უცნაურზე უფრო მეტია. სხვათა შორის, მსგავს მომსახურებას რთულად თუ შეხვდებით აშშ-ს ფარგლებს გარეთ.

mainfun.ru

ხორცის მოყვარული მამაკაცები უფრო მიმზიდველები არიან, ვიდრე ვეგეტარიანელები

„ყმაწვილნ უხორცოდ დაზრდილნი რა ვაჟკაცობას იზამენ“ – მთლად ვაჟას სიტყვები არ გამოუყენებიათ ექსპერიმენტში მონაწილე ქალებს, მაგრამ ვეგეტარიანელებს რომ ხორცისმჭამელ მამაკაცებს ამჯობინებენ, ფაქტია.

ექსპერიმენტში 50 კაცი მონაწილეობდა, რომელთა ნაწილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხორცი უნდა ეჭამა, ნაწილს – ხორცთან ერთად სხვა პროდუქტებიც, ხოლო ნაწილი ვეგეტარიანულ დიეტაზე დასვეს.

აღმოჩნდა, რომ რაციონიდან ხორცის ამოღებამ კაცები უფრო გაღიზიანა, ისინი სტრესს ებრძოდნენ და ქალებთან საკონტაქტო ენას ვერ პოულობდნენ. შედეგად კი, ქალებმა ვეგეტარინელები ყველაზე ნაკლებ მიმზიდველ კაცებად შეაფასეს.

იხარეთ ხორცის მოყვარულო კაცებო, თქვენია ბურთი და მოედანი.

myjane.ru

იტალიელმა მღვდელმა შეწირული თანხიდან 100 ათასი დოლარი პირადი მიზნებისთვის დახარჯა

ფული ჯოჯოხეთს ანათებს, მაგრამ იტალიის ერთ-ერთი თემის, ლენიაროს მღვდელი ჯოჯოხეთს აღარ დაელოდა და შემოწირულობებით ამქვეყნიური ცხოვრების განათება გადაწყვიტა. ფული კატალონიის საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასს“ ეკუთვნოდა, რომელიც გაჭირვებულებს ეხმარება.

შემოწირულობათა დიდი ნაწილი, 14 მილიონი ევროს ოდენობით ქალაქ პადუაში მცხოვრებ მილიონერ ფარმაცევტს ეკუთვნოდა, რომელმაც 2014 წელს გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება ეკლესიას დაუტოვა.

57 წლის პასტორმა იფიქრა, ამდენი წელი მიცხოვრია, სხვებს დავხმარებივარ, სიკეთე მიქმნია, ნუთუ არ მეკუთვნის 100 ათასი იმისთვის, რომ ჩემს ცხოვრებასაც მივხედოო, რა თქმა უნდა, მეკუთვნისო, – დაასკვნა. ადგა და ავტომობილი, სკუტერი და სპორტული ინვენტარი იყიდა, მერე ალპებში წავიდა ამაოებისგან დასასვენებლად და ღმერთთან დასაახლოებლად, მერე სიცილიაში დედა წაიყვანა და კოსმეტიკური ოპერაცია გაუკეთა.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ ღვთისმსახურები მღვდლის ცხოვრების ახალი სტილით დაეჭვდნენ და პოლიციას მიმართეს. დამნაშავის ვინაობა არ გამხელილა, შემოწირულ თანხაზე კონტროლის უფლება კი ხელისუფლებამ აიღო.

lenta.ru

სოციალურ ქსელში ბრძნული ციტატების მოყვარულები სულელები არიანო



სოციალურ ქსელში ყველას ჰყავს, ერთი ცოტაა, რამდენიმე ისეთი მეგობარი, რომელიც ხშირად წერს ბრძნულ გამონათქვამებს. ექსპერიმენტმა კი დაამტკიცა, რომ ღრმა ნააზრევის მოყვარული და ამით ხშირად თავმომწონე ადამიანები ინტელექტის დაბალი დონით გამოირჩევიან და პარანორმალური თეორიებისაც უფრო ხშირად სჯერათ.

სტატიაში, სათაურით „ფსევდობრძნული სისულელეების აღქმა და აღიარება“ ექსპერტები შეეცადნენ, ისეთ კითხვებზე გაეცათ პასუხები, როგორიცაა – არიან თუ არა ზოგიერთები უფრო მგრძნობიარეები ბრძნული ციტატებისადმი, ვიდრე სხვები. ექსპერტებმა 845 მოხალისეს ღრმა აზრები წააკითხეს („რამდენადაც ძლიერი იქნება შენი შემდეგი ნაბიჯი, იმდენად ბრძენი ხარ შენ“, „გარეთ არსებული ქაოსის დროს, შეინარჩუნე სიმშვიდე შენ შიგნით), ამ აზრებს დაუმატეს ყველასთვის ცნობილი, აშკარა განცხადებები, მაგალითად, „ახალშობილს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“, „ადამიანთა უმრავლესობას მუსიკა მოსწონს“.

აღმოჩნდა, რომ ნამდვილ და ფიქციურ სიბრძნეებს ადამიანები ვერ არჩევენ და „სიბრძნის შკალაზე“ ერთი და იმავე მაღალი ქულით აფასებენ. შემდეგ კი ექსპერიმენტის მონაწილეებს სთხოვეს, შეევსოთ ტესტი, სადაც პირადი შეხედულებების შესაბამისად სცემდნენ პასუხებს. 27 პროცენტი „ფსევდოსიბრძნის მოყვარული“ აღმოჩნდა, მათ არ აქვთ შინაგანი ინტუიცია, ნელა ფიქრობენ და წყვეტენ ამოცანებს, ხშირად იცავენ რელიგიურ რწმენასაც და ცრურწმენასაც, სჯერათ პარანორმალური მოვლენებისა და შეთქმულების თეორიების.

მოკლედ, ისინი აბსოლუტურად დამოკიდებული არიან სხვის ნათქვამსა და ნაზრევზე. ამიტომაც ხშირად იყენებენ სხვათა სიბრძნეებს საკუთარი უვიცობის გადასაფარავად.

lenta.ru

– მამიკო, მანქანა რატომ არ გვყავს?

– იმიტომ, შვილო, რომ დედაშენი ქურქში უფრო თბილად გრძნობს თავს!..

*****

– დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და:

1. მუდმივად ვიბან ხელებს!

2. ვიცი, რომ მოვკვდები და მესმის, რომ ამას ვერაფრით შევცვლი...

3. ვიცი, საიდან და როგორ ჩნდებიან ბავშვები!

4. პრაქტიკულად, არ არსებობს ისეთი თემა, რომელიც მადას დამაკარგვინებს!

5. ძალიან მეშინია ექიმების! განსაკუთრებით, ჩემი თანაკურსელების!!!

*****

– ჩემი ცოლი სულ ალენ დელონს მადარებს.

– ჰო, მაგრამ საერთო არაფერი გაქვთ და...

– ჰოდა, ისიც სულ ასე მეუბნება ხოლმე!

*****

– სურენჩიკ, ეს 8 მარტი ვინ გამოიგონა?

– რა ვი, გონი, კლარა ცეტკინმა.

– და რათა?

– ეგ აღარ ვიცი. ალბათ, ყვავილებსა ყიდდა...

*****

ახლომხედველობის მქონე ჯალათი სიკვდილმისჯილს:

– კაცურად, ერთი დაუსტვინე რა, ცუდად ვხედავ...

*****

– შვილო, ნუ დადიხარ ყოველდღე დისკოთეკაზე, თორემ დაყრუვდები!

– მადლობა, დედა, უკვე ვისადილე!

მოამზადა მიხეილ სახვაძემ
დავით ახობაძის ნახატი

გვერდი მოამზადა **დარინა ძამადაძე** 593 19-85-99

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

ციხეში უკანონოდ შეტანილ მობილურებს ძაღლი ყნოსვით პოულობს

სხვადასხვა ნივთიერების მოძიება რომ შეუძლია ძაღლს, ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ გაცილებით უფრო საინტერესო უნარით ყოფილა გამორჩეული ნორვიჩის (დიდი ბრიტანეთი) ციხის მიერ გაწვრთნილი „ოთხფეხა ინტელექტუალი“, სახელად მერფი, რომელიც საკანში უკანონოდ შეტანილ მობილურ ტელეფონებს უპრობლემოდ პოულობს.

მერფის გასაწვრთნელად ციხის ადმინისტრაციას 7 თვე დაუხარჯავს, რა დროსაც ძაღლს 20-დან ერთ-ერთი სპეციფიური სუნის გარჩევა ასწავლეს, რომელსაც თურმე, მობილური გამოსცემს.

საინტერესოა, რომ მერფის იმდენად განვითარებული ყნოსვა ჰქონია, მცველების აპარატების სუნს არასოდეს ურევს ციხეში უკანონოდ მოხვედრილი აპარატების სუნში.

vesti.ru

სიგარეტის გადაგდება ჩაის ფილტრებით იქნება შესაძლებელი?

ჩინელი მკვლევარების ჯგუფმა სიგარეტის საკმაოდ სპეციფიკური ფილტრი შექმნა, რომელიც ჩაის ფოთლებისგანაა დამზადებული და როგორც მისი ავტორები ამტკიცებენ, ახალი ტიპის ფილტრი სიგარეტის გადაგდებაში ყველაზე სტაჟიან მწეველსაც კი დაეხმარება.

თურმე, ჩაის ფილტრი დიდი რაოდენობით ტეანინს გამოიმუშავებს, ნივთიერებას, რომელიც ადამიანს ნიკოტინზე დამოკიდებულებს არ ხდის და უფრო მეტიც - ე.წ. „ლომკისგანაც“ ადვილად ათავისუფლებს.

ცნობილია, რომ ჩინელების ამ სიახლემ გამოცდები პეკინში უკვე გაიარა და 100-დან 70 მწეველს მავნე ჩვევაზე უარის თქმაში დაეხმარა.

გარდა ამისა, ვინც სიგარეტის გადაგდება ბოლომდე ვერ შეძლო, ჩაის ფილტრის დახმარებით, მან მოწევის სიხშირე საშუალოდ 43 პროცენტით შეამცირა.

დაბოლოს - აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ნივთიერება ტეანინი ხელს უშლის ნიკოტინს ფილტვების დაბინძურებაში და მის ნეგატიურ გავლენას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია.

დათანხმდა თუ არა ჩაის ფილტრიანი სიგარეტის წარმოებას რომელიმე კომპანია, ინფორმაზია ამ საკითხთან დაკავშირებით არ ზუსტდება და პრინციპში, მათი უარი გასაკვირი არც არავისთვის უნდა იყოს.

factroom.ru

ხანში შესული ადამიანებისთვის პლასტიკური ოპერაციის ჩატარებას აზრი არ აქვს?

დიდხანს ფიქრობდნენ სპეციალისტები და ცდილობდნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე: რატომ ხდება, რომ ხანში შესული ადამიანები, რომლებიც პლასტიკურ ოპერაციას იტარებენ, სასურველ შედეგს მაინც ვერაფრით აღწევენ? ხანგრძლივი კვლევების შემდეგ, როგორც იქნა, მიზეზის დადგენა მოხერხდა – სპეციალისტები განმარტავენ, რომ კანის პარალელურად, ბერდება და დეფორმაციას განიცდის ძვალიც, რასაც ის შედეგი მოსდევს, რომ ღაწვის ფორმები მნიშვნელოვნად იცვლება და უკან იზნიქება.

– ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც არ უნდა სრულყოფილად ჩატარდეს კანის დაჭიმვის პროცედურები, ის ძველ იერს მაინც ვეღარასოდეს აღიდგენს, - ასეთი შეუბრალებელი ყოფილა ბუნების კანონები.

ცხადია, გამოსავალი ამ შემთხვევაშიც არსებობს და ვიდრე ადამიანი კანის გამოსწორების ოპერაციას ჩაიტარებს, ჯერ ძვლები უნდა მოიყვანოს მწყობრში, თუმცა ეს პროცედურები გაცილებით უფრო ძვირი სიამოვნებაა. და კიდევ ერთი — აუცილებელია კბილების მდგომარეობის კონტროლიც, რადგან თუკი ყველა კბილი ადგილზეა, ასეთ შემთხვევაში, ძვალი უფრო გვიან დეფორმირდება.

medkarta.com

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-21.04
8 დეკემბერი: ძალიან ემოციური და ხისტი იქნებით, შეეცადეთ, თქვენი სიტყვები აკონტროლოთ. ვიღაცა შეიძლება დააშინოთ, მაგრამ შედეგი?

ხარი 22.04-21.05
8 დეკემბერი: საშუალება გექნებათ, სერიოზული წინადადება მოიწონოთ, ან დაიწუნოთ და დაგთანხმდებიან. ასე რომ, სანამ რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით.

ტყუპები 22.05-21.06
8 დეკემბერი: შესაძლოა, კარგად გაქვთ წარმოდგენილი თქვენი მოქმედებების სქემა, რადგან ის გამოცდილი გაქვთ და გგონიათ, კიდევ გაგიმართლებთ. ცდებით. კორექტივები შეიტანეთ.

კირჩხიბი 22.06-22.07
8 დეკემბერი: სახეზე გექნებათ ასახული ყველაფერი, რასაც ფიქრობთ და ვერაფერს დამალავთ. არც მოტყუება გამოგივათ – არც კი იფიქროთ.

ლომი 23.07-22.08
8 დეკემბერი: შეგიძლიათ, თავს მოდუნების საშუალება მისცეთ და რაც არ გხიბლავთ, არ გააკეთოთ. თქვენს სიზარმაცეს ცუდი არაფერი მოჰყვება.

ქალწული 23.08-22.09
8 დეკემბერი: შეიძლება ეს დღე იმ გამონაკლისთაგანი აღმოჩნდეს, რომელსაც ტკბილად მიიგონებთ. შეეცადეთ, დღეს საყვარელ ადამიანთან ერთად იყოთ.

ხაზინა 23.09-22.10
8 დეკემბერი: შეიძლება რაღაც საფრთხე დაგემუქროთ. თუ თვლით, რომ მასთან შესახვედრად მზად არ ხართ, შეეცადეთ, სახლიდან არ გახვიდეთ.

ორიონი 23.10-21.11
8 დეკემბერი: შესაფერისი დღეა საიმისოდ, რომ თქვენს ერთ-ერთ სისუსტეზე შეტევა განახორციელოთ. შეარჩიეთ ის, რომელსაც ადვილად დასძლევთ.

მშვილდოსანი 22.11-21.12
8 დეკემბერი: ყურადღებით მოისმინეთ, რას ლაპარაკობენ ჭკვიანი ადამიანები. მათ ნათქვამში მოისმენთ იმას, რაც პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ.

თხის რქა 22.12-19.01
8 დეკემბერი: რაღაც საკითხის გადაწყვეტას დიდი ხანია აჭიანურებთ. დროა მიხედოთ. „არა“-ს თქმა ყველაზე მარტივია, მაგრამ ეს ყოველთვის არ ამართლებს.

მერწყული 20.01-18.02
8 დეკემბერი: რაღაცის იოლად მიღება შეიძლება გამოგივიდეთ, მაგრამ ეს პერსპექტიულ საშუალებებს მოგაკლებთ. გიღირთ კი ასე მიზნის მიღწევა?

თევზები 19.02-20.03
8 დეკემბერი: სხვადასხვაგვარი წესები, რომლებიც ცხოვრებას ხშირად გიწამლავთ, შეიძლება დამცველად მოგევლინოთ. ასე რომ, მათი უგულებელყოფა არც იფიქროთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

ზოოპარკმა ჯამბაზი მაიმუნების... გასართობად დაიქირავა

თუკი აქამდე ფიქრობდით, რომ მაიმუნები ართობდნენ ადამიანებს და მათი განწყობის ამაღლებაზე ზრუნავდნენ, გერმანელებს სულ სხვაგვარი აზრი მოუვიდათ და გადაწყვიტეს, ახლა უკვე ადამიანს გაეხალისებინა მაიმუნები.

ჰოდა, სწორედ ამ მიზნით გერმანიის ერთ-ერთ ზოოპარკში, რომლის სახელწოდება რატომღაც, არ ზუსტდება, 45 წლის ჯამბაზი, კრისტინა პიტერი დაიქირავეს. მისი თქმით, ცხოველებისთვის ყოველდღე ახალ-ახალი წარმოდგენების გამართვა უწევს, თუმცა მთელი ეს პროცესი იმდენად ხალისიანია, რომ ზოოპარკის ამ უცნაური იდეით ძალიან კმაყოფილია.

რაც შეეხება თავად ზოოპარკის ადმინისტრაციის პოზიციას, როგორც ამბობენ, ცხოველები ხშირად ძალიან იღლებიან ადამიანებისგან. ჰოდა, დასვენება და გახალისება მათაც სჭირდებათ.

mainfun.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

პაციენტი ექიმს:

– ექიმო, სერიოზული პრობლემა გამიჩნდა: ერექცია აღარ მაქვს.

– არ ინერვიულოთ! ორი ვარიანტი გვაქვს. პირველი: ერთი ოპერაცია და ყველაფერი უცბად მოგვარდება. ღირებულება — 30 ათასი დოლარი. მეორე: ოპერაციების სერია თვის მანძილზე. ღირებულება — 10 ათასი დოლარი.

– ძალიან კარგი. უბრალოდ, ცოლს მოვეთათბირები და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ.

მეორე დღეს:

– აბა, რა გადაწყვეტილება მიიღეთ?

– (ოხრავს, ამოაყოლა მთელი გული) სამზარეულოს გარემონტება გადაწყდა...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ძაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აპაჰიძესკენ, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.30